



NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
კლასტერის შესახებ

ისტორიის საბაკალავრო პროგრამა
არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა
ძველი ენები და ცივილიზაციების სამაგისტრო პროგრამა
შუა საუკუნების ისტორიის სამაგისტრო პროგრამა
ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამა
არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა
ისტორიის სადოქტორო პროგრამა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 9.12,13,14 დეკემბერი 2022

დასკვნის წარდგენის თარიღი: 09/03/2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	6
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	13
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	13
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	50
3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	65
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	74
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	100

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
ინსტიტუციის ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ევანგელოს კირიაკიდისი, მემკვიდრეობის მართვის ორგანიზაცია, ათენი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ემზარ კახიძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ირინე დემეტრაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ვაჟა მამიაშვილი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მერაბ ჭუმბურიძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქუთაისი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა კობახიძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნანა ფიცხელიანი, კავკასიის უნივერსიტეტი, თბილისი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3	პროგრამა 4	პროგრამა 5	პროგრამა 6	პროგრამა 7	პროგრამა 8
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ისტორია	არქეოლოგია	საქართველოს ისტორია	ძველი ენები და ცივილიზაციების ისტორია	შუა საუკუნეების ისტორია	ახალი და უახლესი ისტორია	არქეოლოგია	ისტორია
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	მაგისტრატურა	მაგისტრატურა	მაგისტრატურა	მაგისტრატურა	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ისტორიის ბაკალავრი	არქეოლოგიის ბაკალავრი	ისტორიის მაგისტრი	სიძველეთმცოდნეობის მაგისტრი	ისტორიის მაგისტრი	ისტორიის მაგისტრი	არქეოლოგიის მაგისტრი	ისტორიის დოქტორი
დეტალური სფეროს სახელი და კოდი	0222.1.1 ისტორია	0222.1.2 არქეოლოგია	0222.1.1 ისტორია	0222.2.3 სიძველეთმცოდნეობა	0222.1.1 ისტორია	0222.1.1 ისტორია	0222.1.2 არქეოლოგია	0222.1.1 ისტორია
ზოგადი შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ¹	-	-	-	-	-	-	-	-
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	240	120	120	120	120	120	სასწავლო კომპონენტები - 40 კრედიტი;

¹მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

<p>პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)</p>	<p>აკრედიტებული (გადაწყვეტილება N169, 28.10.11)</p>	<p>აკრედიტებული (გადაწყვეტილება № 170, 28.10.11)</p>	<p>აკრედიტებული (გადაწყვეტილება № 204, 18.07.12)</p>	<p>აკრედიტებული (გადაწყვეტილება № 203, 18.07.12)</p>	<p>აკრედიტებული (გადაწყვეტილება № 213, 18.07.12)</p>	<p>აკრედიტებული (გადაწყვეტილება № 210, 18.07.12)</p>	<p>აკრედიტებული (გადაწყვეტილება № 216, 18.07.12)</p>	<p>აკრედიტებული (გადაწყვეტილება № 244, 18.07.12)</p>
---	---	--	--	--	--	--	--	--

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ²**

ამ კლასტერში ისწავლება პროგრამების ყოვლისმომცველი სპექტრი, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო დონეზე. სტუდენტებს სთავაზობენ ცოდნის ფართო სპექტრს და ამას უზრუნველყოფენ ადეკვატიური და კვლევით სფეროში აქტიური პერსონალით. ბევრის აზრით, ეს დეპარტამენტი არის ყველაზე გამორჩეული მსგავსი დეპარტამენტი ქვეყანაში და, შესაბამისად, აქვს მრავალი საერთაშორისო კავშირი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

2022 წლის 9-დან 14 დეკემბრამდე (9, 12, 13, 14) ემზარ კახიძე, ირინე დემეტრაძე, ვაჟა მამიაშვილი, მერაბ ჭუმბურიძე, თამთა კობახიძე და ნანა ფიცხელიანი პირადად, ხოლო ევანგელოს კირიაკიდისი ონლაინ რეჟიმში ესტუმრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. მათ მოინახულეს თსუ-ს მუზეუმი, არქეოლოგიური მუზეუმი, კოლეჯია და ასევე თსუ-ს ბიბლიოთეკა (9/12/22). ორშაბათს, 12 დეკემბერს ისინი შეხვდნენ კანცლერს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეკანს, შემდეგ შეხვდნენ თვითშეფასების ჯგუფს და შემდეგ შეხვედრები გამართეს არქეოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელთან, ისტორიის აკადემიურ პერსონალთან, ისტორიის პროგრამის ხელმძღვანელთან და არქეოლოგიის აკადემიურ პერსონალთან. ზოგიერთმა საზღვარგარეთ მყოფმა კოლეგამ შეხვედრებზე დასწრება ონლაინ რეჟიმში შეძლო. ორშაბათს, 13 დეკემბერს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ბაკალავრიატის სტუდენტებს, მაგისტრანტებს, დოქტორანტებს, ასევე კურსდამთავრებულებს, როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურისა და დოქტორანტურის კურსდამთავრებულებს. მოგვიანებით, ჯგუფი შეხვდა ისტორიისა და არქეოლოგიის მოწვეულ პერსონალს. ოთხშაბათს, 14 დეკემბერს, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა გასცნობოდა სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომებს, ასევე შეხვედროდა სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებს, დაინტერესებულ მხარეებს (პოტენციურ დამსაქმებლებს) და შედგა ასევე მეორე შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

მთლიანობაში, დეპარტამენტმა მთელი პროცესი ძალიან სერიოზულად მიიღო და მოაწყო ყველაფერი ისე, რომ ყველა მონაცემი ხელმისაწვდომი ყოფილიყო. ექსპერტთა ჯგუფი ძალიან კმაყოფილია დეპარტამენტის საერთო საქმიანობით და მხოლოდ რამდენიმე რჩევა აქვს უფრო, ვიდრე რეკომენდაცია, რომელიც არსებითად მნიშვნელოვანი იქნება პროგრამების წარმატებულად წარმართვისთვის.

სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ყველა პროგრამა სრულ შესაბამისობაშია. თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა რჩევები, ამ პროგრამების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

²პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

- **რეკომენდაციები**

- საჭიროა მკაცრად ჩამოყალიბდეს სტუდენტის კმაყოფილების ერთგვაროვანი სისტემა (მათ შორის, სწავლის შედეგებთან დაკავშირებით) თითოეული მოდულისთვის, რაც უზრუნველყოფს ყველა მოდულის შეფასებას სტუდენტების მიერ, სასურველია ეს მოხდეს საბოლოო ნიშნებისა და გამოცდების შედეგების გამოქვეყნებამდე. მიუხედავად იმისა, რომ ეს სისტემა არსებობს, ინტერვიუებმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ყველა მოდულის შეფასება ერთნაირად არ ხდება. აქ არის რეკომენდებული სისტემის ჰომოგენურობა, რადგან ამჟამად მონაცემები გროვდება და მიმდინარეობს ანალიზი დეპარტამენტის მიერ.
- **რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

კლასტერის საერთო რჩევები:

- მართალია სწავლების გამოცდილება ძალიან კარგი უნარია დოქტორანტებისთვის, თუმცა მკაფიო წესებმა და სახელმძღვანელო პრინციპებმა შეიძლება, ერთი მხრივ, გარკვეული თავისუფლება მისცეს აკადემიურ პერსონალს, როდესაც საქმე ეხება კვლევისთვის მეტი დროის გამოყოფას, მეორე მხრივ, დანერგოს სამართლიანობის განცდა ყველა დოქტორანტის მიმართ. მაგალითად, ასეთი წესი შეიძლება იყოს, რომ დოქტორანტს არ ჰქონდეს სამაგისტრო პროგრამაზე სწავლების შესაძლებლობა დოქტორანტურის მესამე კურსამდე და რომ მათ აუცილებლად უნდა ასწალონ იმ სფეროში, რომელშიც კვლევას ატარებენ.
- პროგრამების სწავლის შედეგები, მკაფიოა, თუმცა ისინი მუდმივად ცხადად უნდა ჩანდეს სილაბუსებში (ამჟამად ისინი არის), სტუდენტთა სახელმძღვანელოებში და ვებგვერდზე სტუდენტთა სარგებლობისთვის. ტრანსფერულ შედეგებზე (უნარებზე) ყურადღების გამახვილება არსებითი მნიშვნელობისაა იმისათვის, რომ თითოეული პროგრამის ღირებულების შესახებ კომუნიკაცია მოხდეს სამინისტროსთან, პოტენციურ სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და პოტენციურ დონორებთან.
- სასწავლო კურსების ძირითადი ნაწილის სილაბუსებში სახელმძღვანელოების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს კრედიტებით განსაზღვრულ საათების რაოდენობას. სასწავლო კურსების მცირე ნაწილის სილაბუსში უნდა დაკონკრეტდეს ახალი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები. ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების არარსებობის შემთხვევაში დასაშვებია ელექტრონული რიდერების შექმნა.
- კლასტერს სარგებელს მოუტანს სტაჟირების გარკვეული სტანდარტები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სწავლის მკაფიო შედეგები. ფაკულტეტის წარმომადგენელი თითოეულ პროგრამაზე, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს სტაჟირებას, პერიოდულად უნდა ახორციელებდეს ადგილზე ვიზიტს, რათა დარწმუნდეს რომ უნივერსიტეტის სასწავლო მიზნები სრულდება.
- რამდენადაც ქართველ სტუდენტებს ხშირად აქვთ ფინანსური სახსრების ნაკლებობა და რამდენადაც კლასტერისთვის საჭირო მასალები განთავსებულია ბიბლიოთეკებში, მუზეუმებსა და სხვა ორგანიზაციების არქივებში, უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს გარკვეული პროგრამა, რათა აუნაზღაუროს სტუდენტებს თანხები ან უზრუნველყოს რომ სტუდენტებს არ უწევდეთ ასლების გადაღებისა თუ ციფრული ასლების გადაღების ხარჯების გადახდა.
- ექსპერტთა ჯგუფი მოუწოდებს დეპარტამენტს განიხილოს პროგრამის აქ წარმოდგენილი შეფასება და ასეთივე წარმატებით განაგრძოს მუშაობა. ასევე რეკომენდებულია სხვადასხვა პროგრამების განხილვა და განახლება იმ მიზნით, რომ პროგრამები მუდმივად აქტუალური იყოს; ასევე გააფაროვოს კურიკულუმები საქართველოსათვის

მნიშვნელოვანი სფეროების დამატებით და ასევე, სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით.

- სასურველია, რომ ისტორიისა და არქეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსებში ლექტორის მიერ შექმნილ რიდერებსა და სახელმძღვანელოებში მითითებული იყოს კურსის დასახელება და შედგენის წელი.
- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ დეპარტამენტმა განიხილოს მაგისტრანტების მიერ საბაკალავრო პროგრამებიდან არჩევითი საგნების აღების შესაძლებლობა, ბაკალავრიატის სტუდენტებისგან განსხვავებული შეფასებით (მათი სწავლების დონის ასახვის მიზნით). ქართულ ენაზე ონლაინ რიდერი შეიძლება იყოს წინადადებული ნაბიჯი ქართულ ენაზე განახლებული ბიბლიოგრაფიის ნაკლებობის დასაძლევად.
- ბაკალავრიატის შემდგომ საფეხურებზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაზე მისაღები მოთხოვნები საჯაროდ ხელმისაწვდომი იყოს, ინფორმაცია წარმოდგენილი იყოს ყველა შესაბამის ონლაინ ფორმატში. განსაკუთრებით სადოქტორო პროგრამისთვის, დეპარტამენტმა უნდა გამოიჩინოს ძალისხმევა ამ პროცესის ინტერნაციონალიზაციისა და ღიაობისთვის, რომ მიიღოს სტუდენტები სხვადასხვა ადგილებიდან.
- გაძლიერდეს არსებული საკომუნიკაციო არხები სტუდენტებსა და შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციულ სერვისებს შორის.
- გაუმჯობესდეს და გაძლიერდეს მაგისტრანტებისთვის არსებული მხარდაჭრის სერვისების მექანიზმები, სამომავლოდ უცხოურ გაცვლით პროგრამებში მათი აქტიურად ჩართულობის მიზნით.
- ინტენსიური გახდეს საქმიანობა დარგზე-ორიენტირებული სტაჟირებების მიმართულებით, კლასტერში შემავალი პროგრამების სტუდენტებისთვის.
- განიხილოს დარგობრივი ტერმინოლოგიის კომპონენტების ჩართვა და გაძლიერება შესაბამის უცხო ენების კურსებში.
- სასურველია, განსაკუთრებული ძალისხმევა გაკეთდეს 2019 წლიდან კურსდამთავრებულთა არარსებობის უარყოფითი შედეგების აღმოსაფხვრელად, განსაკუთრებით დეპარტამენტის მხარდაჭერი სერვისების გაძლიერების გზით.
- ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა, რომ დეპარტამენტისთვის მნიშვნელოვანია, პერიოდულად შეამოწმოს სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა სამუშაო დატვირთვა.
- დეპარტამენტმა და უნივერსიტეტმა უზრუნველყონ იმ პროგრამების პოპულარიზაცია, რომელთაც უჭირთ სტუდენტების მიღება, რამეთუ ეს მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის პრესტიჟისთვის, ისეთ ქვეყანაში როგორცაა საქართველო.
- როგორც გასაუბრების დროს აღინიშნა, დოქტორანტები ისარგებლებენ, თუკი მათ ექნებათ მოკრძალებული ბიუჯეტი ასლების გადასაღებად.
- გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ თანხების მოზიდვა არამხოლოდ არსებითი მნიშვნელობისაა, არამედ შესაძლებელიცაა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტებისა და პერსონალისთვის პროექტებისა და კვლევების განხორციელების მეტი შესაძლებლობები.

პროგრამა 1, ისტორია (ბაკალავრიატი)

- სასურველია სასწავლო კურსების ძირითადი ნაწილის სილაბუსებში დაკონკრეტდეს ახალი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები. ქართულენოვანი სახელმძღვანელოების არარსებობის შემთხვევაში, მისაღებია ელექტრონული რიდერების შექმნა.

პროგრამა 2, არქეოლოგია (ბაკალავრიატი)

- სასურველია, სილაბუსში (მაგალითად, „ანტიკურ“ არქეოლოგიაში (კლასიკური და ელინისტური ეპოქა, კავკასიის არქეოლოგია) ლექტორის მიერ შემოთავაზებული საკითხავი მასალა ჩამოყალიბდეს ცალ-ცალკე თითოეული თემისთვის და ჰქონდეს განსაზღვრული საკითხავი მასალა, სადაც მითითებული იქნება ავტორი, სათაური და შედგენის წელი.
- შესაძლებელი იყო თვითშეფასების დოკუმენტში პროგრამის აღწერა ყოფილიყო უფრო ნათელი და ჰქონოდა შეფასებადი კრიტერიუმები. მაგალითად, უნდა განისაზღვროს, თუ როგორ ასწავლის პროგრამა „არქეოლოგიის დარგის არსს“. ანალოგიურად, „მუზეუმის საქმიანობა“ ძალიან ზოგადია ანგარიშში. იგი განსაზღვრული უნდა იყოს უფრო კონკრეტულად.

პროგრამა 3, საქართველოს ისტორია (სამაგისტრო)

- სასწავლო კურსების მცირე ნაწილის სილაბუსში უნდა დაკონკრეტდეს ახალი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები.
- ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსები (ეპიგრაფია ფეოდალური საქართველოს ისტორიისთვის, ქართული ჰაგიოგრაფია, როგორც ისტორიული წყარო, დიპლომატია ფეოდალური საქართველოს ისტორიისთვის, ფეოდალური ხანის ქართული საერო და საეკლესიო სამართლებრივი დოკუმენტები) მოიცავს 2000-იან წლებამდე გამოცემულ სავალდებულო ლიტერატურას. სასურველია ამ სილაბუსებში შეიტანოთ ახალი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები.

პროგრამა 4, უძველესი ენები და ცივილიზაციები (სამაგისტრო პროგრამა)

- სარუველია, რომ ამ სილაბუსებში დაკონკრეტდეს ახალი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები.
- სასურველია, სილაბუსში (მაგალითად, არქეოლოგიასა და საზოგადოებაში, აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისა და ლევანტის არქეოლოგია, დიდი მესოპოტამიის არქეოლოგია) ლექტორის მიერ შემოთავაზებული საკითხავი მასალა (რიდერი) ცალკე იყოს ჩამოყალიბებული თითოეული თემისთვის და ჰქონდეს მითითებული საკითხავი მასალა ავტორის ვინაობით, სათაურით და შედგენის წლით.
- სილაბუსებში ლიტერატურის განახლება სამაგისტრო კურსებისთვის - ელინიზმი, რომი და აღმოსავლეთი, კლასიკური ისტორიოგრაფია და კლასიკური სამყარო ეპოქის მიჯნაზე, გააუმჯობესებს პროგრამის ხარისხს.

პროგრამა 5, შუა საუკუნეების ისტორია (სამაგისტრო პროგრამა)

- სასწავლო კურსების მცირე ნაწილის სილაბუსში უნდა დაკონკრეტდეს ახალი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები. ვინაიდან სამაგისტრო პროგრამა მოიცავს საგანმანათლებლო კურსებს ანტიკური ცივილიზაციის შესასწავლად, სასურველია აქ წარმოდგენილი იყოს ანტიკური არქეოლოგიაც.
- იმის გამო, რომ პროგრამა სტუდენტებისგან მოელის, რომ თარგმნონ ბერძნული და ლათინური ტექსტები იმ პერიოდიდან, პროგრამამ უნდა გააფართოვოს მისაღები მოთხოვნები უცხო ენის მიმართულებით, კერძოდ, მოიცვას ბერძნული და ლათინური ენები.
- ალბათ უმჯობესი იქნება ამის მკაფიოდ დაფიქსირება პროგრამის სათაურში („დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორია“).
- სასურველია სასწავლო კურსების მცირე ნაწილის სილაბუსში დაკონკრეტდეს ახალი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები.

პროგრამა 6, ახალი და უახლესი ისტორია (სამაგისტრო პროგრამა)

- სასწავლო კურსების მცირე ნაწილის სილაბუსში უნდა დაკონკრეტდეს ახალი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები.

პროგრამა 7, არქეოლოგია (სამაგისტრო პროგრამა)

- თვითშეფასების ანგარიშში არ იყო წარმოდგენილი იმის სამართლიანი ახსნა და განმარტება, თუ რატომ არის პროგრამაზე მიღება შეზღუდული ჰუმანიტარული ან სოციალურ მეცნიერებათა ხარისხის მქონე სტუდენტებით. არქეოლოგია მეტად ინტერდისციპლინური გახდა. ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, როგორცაა მტვრის ანალიზი (ბოტანიკა); მასალების ქიმიური ანალიზები (ქიმია და გეოლოგია); კარტოგრაფია (გეოგრაფია) და GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) მიაწვდის იმაზე, რომ მეცნიერებათა სტუდენტები უნდა განიხილებოდნენ პროგრამაზე მისაღებად.
- ექსპერტთა ჯგუფის რჩევას, რომ პროგრამამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს იმის აღწერას, თუ რა მნიშვნელოვან კომპეტენციებსა და ტრანსფერულ უნარებს იძენენ სტუდენტები ამ პროგრამით. ეს დაეხმარება პროგრამას თავისი მნიშვნელობის შესახებ უკეთეს კომუნიკაციასა და რეკრუტირებაში.

პროგრამა 8, ისტორია (სადოქტორო პროგრამა)

- შესაძლებელია, ღირდეს იმაზე ფიქრი, დოქტორანტურის კვლევის მეთოდები და სასწავლო კომპონენტები ხომ არ სჯობს შეტანილი იყოს უფრო მეტად მაგისტრატურის პროგრამაში. ამან შეიძლება გაამართლოს არაოფიციალური პოლიტიკა, რომ სადოქტორო პროგრამაზე ძირითადად ხდება, ამავე უნივერსიტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა მიღება. ალტერნატიულად, კარგი იქნება იმის უზრუნველყოფა, რომ სადოქტორო პროგრამამ მოიზიდოს ბევრი სხვა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ.

• საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)³

ორი მუზეუმი, რომელიც კარგად არის აღჭურვილი და კარგად მუშაობს, წარმოადგენს უდიდეს სასწავლო რესურსს.

სადოქტორო პროგრამისგან მოლოდინები დიდია და მოიცავს გამოცემებსა და საკონფერენციო ნაშრომებს.

- ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე უნივერსიტეტმა გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის ძირითადი მიგნებები.

• ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

არ არის მითითებული

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

³პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება⁴
2. კლასტერული შეფასება⁵

სტანდარტი/კომპონენტი	შეფასების მიდგომები:
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტის შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	

შეფასების მიდგომები: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

⁵ **შეფასების მიდგომები:** საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

4.1. ადამიანური რესურსები	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამით მკაფიოდაა განსაზღვრული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის პროგრამების მიზნები მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების გადაცემას და გამომუშავებას, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. პროგრამები ამზადებენ სპეციალისტებს, რომლებსაც შეუძლიათ გაიგონ თავიანთი სასწავლო სფერო, შეაფასონ შესაბამისი მონაცემები და ფლობენ თავიანთი დისციპლინების პრაქტიკულ უნარებს. საბაკალავრო პროგრამები ფოკუსირებულია საბაზისო ცოდნის მიწოდებაზე ინტერდისციპლინურ დონეზე, შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარებაზე, ეთიკის აღქმაზე და დამოუკიდებლად მუშაობის უნარის განვითარებაზე. ბაკალავრიატის შემდგომი პროგრამები არის მოწინავე პროგრამები, რომლებიც გამიზნულია საბაკალავრო პროგრამისა და სამაგისტრო პროგრამების (სადოქტორო პროგრამებისთვის) კურსდამთავრებულები იყვნენ შესაბამის საფეხურზე და გაიღრმავნო საბაკალავრო დონეზე მიღებული ცოდნა (ან სამაგისტრო დონეზე სადოქტორო დონისთვის); სამაგისტრო და სადოქტორო კურსები ამზადებენ სპეციალისტებს შესაბამისი კვლევითი უნარებით, რომლებიც აკმაყოფილებენ საუნივერსიტეტო და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ყველა პროგრამას აქვს კარგი საერთაშორისო კავშირები; ბაკალავრიატის კურსდამთავრებულები სასწავლებლად იყვნენ წამყვან უნივერსიტეტებში და მონაწილეობა აქვთ მიღებული კონფერენციებში. პროგრამების მიზნები კარგად არის განსაზღვრული, მიღწევადი და დაბალანსებული შინაარსითა და სტრუქტურით და შეესაბამება საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას, ტრადიციებსა და სტრატეგიას და ადგილობრივ შრომის ბაზარს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1, (სახელი და საფეხური) ⁶

⁶ აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კონკრეტული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ

პროგრამა 1 ისტორია, საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის შედეგებს, ხარისხის დონეს და მიზნად ისახავს სტუდენტისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების გადაცემას და გამომუშავებას. ისტორიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები შეესაბამება ისტორიის სწავლების თანამედროვე სტანდარტებს. პროგრამა ორიენტირებულია სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებიც შეძლებენ გაიგონ ისტორიული ეტაპის თავისებურებები და მათი ურთიერთგავლენა; რომლებიც ფლობენ სპეციფიკურ უნარებს, რაც მათ საშუალებას მისცემს შეაფასონ ისტორიული მოვლენები და გამოიტანონ დასკვნები. პროგრამა უშვებს კურსდამთავრებულებს, რომლებსაც გააჩნიათ პრაქტიკული უნარ-ჩვევები (სამუზეუმო და საარქივო მუშაობისთვის), რომლებიც დამოუკიდებელი არიან და შეუძლიათ კარგი არგუმენტების აგება, წყაროებისა და ისტორიული მეთოდის გაგება.

ისტორიის საბაკალავრო პროგრამა ძირითადად ორიენტირებულია, სტუდენტს მისცეს პროფესიასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტის საბაზისო ცოდნა. პროგრამა ორიენტირებულია, სტუდენტს ისტორია გააცნოს როგორც ინტერდისციპლინური მეცნიერება, ასწავლოს სხვადასხვა ეპოქის კულტურათა მახასიათებლები, რაც ასევე მოიცავს შესაბამის საგნებს. პროგრამა სტუდენტებს ასწავლის ისტორიის დარგის პრინციპებს, მიდგომებსა და თანამედროვე თეორიებს, ასევე ეხმარება მათ რომ გამოიმუშაონ ისეთი უნარები, როგორებიცაა პასუხისმგებლობა, ეთიკა და დამოუკიდებელი მუშაობა. სტუდენტები ყველა პრაქტიკულ სამუშაოს ზედამხედველობითა და ხელმძღვანელის დახმარებით ასრულებენ.

თსუ-ს და კონკრეტულად ამ პროგრამას ძალიან კარგი საერთაშორისო კონტაქტები ჰყავს. როგორც კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა აღნიშნეს გასაუბრებისას, პროგრამის რამდენიმე კურსდამთავრებულმა სწავლა გააგრძელა მოწინავე საერთაშორისო ინსტიტუტებში და მონაწილეობენ კონფერენციებში.

პირველი პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და მიღწევადია პროგრამის შინაარსთან და სტრუქტურასთან მიმართებით; შინაარსისა და დროის განაწილების ბალანსი ინდივიდუალურ კურსებზე ასევე რეალისტურია საჭირო ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გამოსამუშავებლად. ყოველივე ეს შეესაბამება სწავლების საფეხურს და მოიცავს იმ საბაზისო უნარებსა და თეორიულ ცოდნას, რომელიც უნდა აითვისოს კურსდამთავრებულმა. პროგრამა შეესაბამება უსდ-ს მისიას, ტრადიციებსა და სტრატეგიას, ასევე ადაპტირებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მახასიათებლებთან და მოთხოვნებთან.

პროგრამა 2 - არქეოლოგია, საბაკალავრო პროგრამა

აღწერა და ანალიზი - არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულთა აღჭურვა საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული არქეოლოგიის სფეროს ფართო საბაზისო თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამა ორიენტირებულია, მოამზადის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი,

საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

გთხოვთ, გაიმეოროთ აღწერილობისა და ანალიზის ველი პროგრამების რაოდენობის მიხედვით, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელი, საფეხური), პროგრამა 3 (სახელი, საფეხური) და ა.შ. (გთხოვთ, გაითვალისწინოთ მითითების ეს ფორმატი ყოველი მომდევნო კომპონენტის შეფასებისას).

რომელსაც ეცოდინება: არქეოლოგიური პერიოდიზაცია, თითოეული არქეოლოგიური ეპოქისთვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები, საქართველოს არქეოლოგია და მსოფლიო არქეოლოგიის ელემენტები. პროგრამა კურსდამთავრებულებს განუვითარებს სამუზეუმო კვლევების სფეროში აუცილებელ უნარებს, რათა მათ შეძლონ არქეოლოგიური აღმოჩენების ინვენტარიზაცია, განახორციელონ არტეფაქტების შედარების, დამტკიცებისა და აღწერის პროცესი.

პროგრამა ასევე აძლიერებს კულტურების კულტურული და ისტორიული ასპექტების აღქმას, კავკასიისა და საქართველოს მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის კუთხით და ასევე ამზადებს სტუდენტებს კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მუშაობისთვის. არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამას აქვს კარგი საერთაშორისო კონტაქტები, რაც იძლევა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასწავლო გეგმის შემუშავების საშუალებას. პროგრამას უზრუნველყოფს უნივერსიტეტი და მოიცავს პრაქტიკისთვის აუცილებელ სავლელ სამუშაოებს. პროგრამა სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ტრადიციებს.

არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები შეესაბამება სწავლების დონეს, არის საჯარო, ხელმისაწვდომი, რეალისტური, მიღწევადი და ასახავს წვლილს დარგის განვითარებაში. ნათლად არის ჩამოყალიბებული, რომ კურსდამთავრებულები იძენენ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებიც შეესაბამება არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამას. პროგრამის მიზანი ითვალისწინებს დარგობრივი მახასიათებლებით განსაზღვრული სასწავლო დარგის თავისებურებებს, ასევე კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს VI დონის კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვნებს და დეტალური სწავლის სფეროს კლასიფიკატორის - „0222 ისტორია და არქეოლოგია“ შინაარსს, რომელიც განსაზღვრულია სწავლის სფეროს კლასიფიკატორის III მუხლით. პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების შესაბამისად. სწავლის დროს გამომუშავებული უნარ-ჩვევები კურსდამთავრებულს დასაქმების საშუალებას მისცემს: არქეოლოგიურ ექსპედიციებში, მუზეუმებში, არქივებში, სპეციალიზებულ ლაბორატორიებში, შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში. მნიშვნელოვანი რაოდენობითაა წარმოდგენილი ტრანსფერული უნარები. გარდა ამისა, არქეოლოგიური სავლელ სამუშაოები იძლევა უნარ-ჩვევებს, რომლებიც შეესაბამება სხვა სფეროს შესაბამის დისციპლინებს, როგორცაა ტოპოგრაფია, რაც კურსდამთავრებულებს კონკურენტუნარიანს ხდის დასაქმების ბაზარზე. გარდა ამისა, არქეოლოგიის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლის გაგრძელება მაგისტრატურაში.

პროგრამა 3 - საქართველოს ისტორია, სამაგისტრო პროგრამა

საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა ძირითადად შემუშავებულია პირველ პროგრამასთან კავშირში და წარმოადგენს მისი განვითარების მომდევნო ეტაპს, თუმცა გათვალისწინებულია სხვა დარგის საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულებისთვისაც. სტუდენტი იღებს საქართველოს ისტორიის გაღრმავებულ ცოდნას. სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა გააღრმავოს ბაკალავრიატის საფეხურზე მიღებული ცოდნა, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად, თანაბრად განაწილებული კრედიტებითა და შემუშავებული სასწავლო კურსებით. სტუდენტებს, რომლებსაც საბაკალავრო პროგრამაში არ აქვთ მიღებული საბაზისო საჭირო ცოდნა კონკრეტულ დარგში, ეძლევათ საშუალება, არჩევით საგნად აიღონ ისინი მაგისტრატურაში.

პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტის ცოდნის გაღრმავებას საქართველოს ისტორიაში, ასევე არჩეული დარგის პრინციპების, მიდგომების, სტანდარტების, თანამედროვე თეორიების,

პროფესიული ეთიკის ნორმების სრულყოფილად შესწავლას. მე-3 პროგრამის სტუდენტს, 1 პროგრამის სტუდენტისგან განსხვავებით, შეუძლია საკუთარი თავის გამოცდა უფრო დამოუკიდებლად, პირადად ან გუნდში. პროგრამის მიზანია მოამზადოს საქართველოს ისტორიის სპეციალისტი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვლევის უნარები, თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები კონკრეტული მიმართულებით.

მე-3 პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და მიღწევადია პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის მიხედვით, დროისა და შინაარსის ბალანსი ცალკეულ კურსებს შორის, შესაბამისი ცოდნისა და პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის ძირითადად რეალისტურია. ეს ყველაფერი შეესაბამება სამაგისტრო დონეს და ასახავს ძირითად უნარებსა და თეორიულ ცოდნას, რომელიც კურსდამთავრებულმა უნდა შეიძინოს. პროგრამა ასევე შეესაბამება უსდ-ს მისიას, ტრადიციებსა და სტრატეგიას, ასევე ადაპტირებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მახასიათებლებთან და მოთხოვნებთან.

პროგრამა 4 - უძველესი ენები და ცივილიზაციები, სამაგისტრო პროგრამა

უძველესი ენებისა და ცივილიზაციების პროგრამა მიზნად ისახავს, მოამზადოს ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვის უძველესი ცივილიზაციების კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც განახორციელებენ ისტორიულ, კულტურულ და კონკრეტულ ქვეყანაზე ორიენტირებულ კვლევებს არქეოლოგიის სფეროში. თანამედროვე ტექნოლოგიური ინსტრუმენტებისა და უახლესი ინტერდისციპლინური მეთოდების გამოყენებით, პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა კულტურის ტექსტების შესწავლას და ასევე შეისწავლის მათ შინაარსს, რომელიც ნათელს ჰფენს უძველესი ცივილიზაციების ისტორიასა და კულტურას. ამ სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთი ელემენტი არის „მკვდარი ენების“ შესწავლა. კურსდამთავრებულებს უვითარდებათ ინტერდისციპლინური კვლევის უნარები, რომლითაც ისინი სწავლობენ ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვის უძველესი ცივილიზაციების ისტორიის ძირითად მომენტებსა თუ პრობლემებს და შეუძლიათ გამოიმუშაონ ახალი ცოდნა კვლევის გზით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამ რეგიონებთან საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიულ-კულტურული კონტაქტების კვლევას. სამაგისტრო პროგრამა სრულად შეესაბამება როგორც უნივერსიტეტის მისიას, ასევე მსგავსი ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებს.

უძველესი ენებისა და ცივილიზაციების სამაგისტრო პროგრამას აქვს მკაფიო, საჯაროდ ხელმისაწვდომი მიზნები, რომლებიც შეესაბამება სწავლის საფეხურს, არის რეალისტური და ხელს უწყობს დარგის ზრდას. პროგრამა აკონკრეტებს და აღწევს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებიც უნდა ჰქონდეს კურსდამთავრებულს. იგი ითვალისწინებს დარგობრივ ნიშნულებს და შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონეს და სწავლის სფეროს კლასიფიკატორს. პროგრამა შექმნილია შრომითი ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და კურსდამთავრებულებს ამზადებს სხვადასხვა ინდუსტრიებსა და ორგანიზაციებში დასაქმებისთვის, მათ შორის განათლებასა და საჯარო სამსახურში. კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია გააგრძელოს სწავლა სადოქტორო საფეხურზე.

პროგრამა 5, შუა საუკუნეების ისტორია, სამაგისტრო პროგრამა

პროგრამა 5 შემუშავებულია ძირითადად პროგრამა 1-თან კავშირში და წარმოადგენს მისი განვითარების მომდევნო ეტაპს, თუმცა გათვალისწინებულია სხვა დარგის საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულებისთვისაც. სტუდენტი იღებს გაღრმავებულ ცოდნას შუა საუკუნეების ისტორიაში. სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა გაიღრმავოს ბაკალავრიატის საფეხურზე მიღებული ცოდნა, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად, თანაბრად

განაწილებული კრედიტებითა და შემუშავებული სასწავლო კურსებით. სტუდენტებს, რომლებსაც საბაკალავრო პროგრამაში არ აქვთ მიღებული საბაზისო საჭირო ცოდნა კონკრეტულ დარგში, ეძლევათ საშუალება, არჩევით საგნად აიღონ ისინი მაგისტრატურაში.

პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტის ცოდნის გაღრმავებას შუა საუკუნეების ისტორიაში, ასევე საფუძვლიანად შეასწავლოს არჩეული მიმართულების პრინციპები, მიდგომები, სტანდარტები, თანამედროვე თეორიები, პროფესიული ეთიკის ნორმები. მე-5 პროგრამის სტუდენტს, 1-ელი პროგრამის სტუდენტისგან განსხვავებით, შეუძლია საკუთარი თავის გამოცდა უფრო დამოუკიდებლად, პირადად ან გუნდურად. პროგრამის მიზანია მოამზადოს შუა საუკუნეების ისტორიის სპეციალისტი, რომელსაც ექნება შესაბამისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები კონკრეტული მიმართულებით.

პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და მიღწევადია პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის მიხედვით. შესაბამისი ცოდნისა და პრაქტიკული უნარების განვითარებისათვის გათვალისწინებულ ინდივიდუალურ კურსებს შორის დროისა და შინაარსის ბალანსი ძირითადად რეალისტურია. ეს ყველაფერი შეესაბამება სამაგისტრო დონეს და ასახავს ძირითად უნარებსა და თეორიულ ცოდნას, რომელიც კურსდამთავრებულმა უნდა შეიძინოს. პროგრამა ასევე შეესაბამება უსდ-ს მისიას, ტრადიციებსა და სტრატეგიას, ასევე ადაპტირებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მახასიათებლებთან და მოთხოვნებთან.

პროგრამა 6, ახალი და უახლესი ისტორია, სამაგისტრო პროგრამა

პროგრამა 6 შემუშავებულია ძირითადად პროგრამა 1-თან კავშირში და წარმოადგენს მისი განვითარების მომდევნო ეტაპს, თუმცა გათვალისწინებულია სხვა დარგის საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულებისთვისაც. სტუდენტი იღებს სიღრმისეულ ცოდნას ახალ და უახლეს ისტორიაში. სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა გაიღრმავოს ბაკალავრიატის საფეხურზე მიღებული ცოდნა, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად, თანაბრად განაწილებული კრედიტებითა და შემუშავებული სასწავლო კურსებით. სტუდენტებს, რომლებსაც საბაკალავრო პროგრამაში არ აქვთ მიღებული საბაზისო საჭირო ცოდნა კონკრეტულ დარგში, ეძლევათ საშუალება, არჩევით საგნად აიღონ ისინი მაგისტრატურაში.

პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტის ცოდნის გაღრმავებას ახალ და უახლეს ისტორიაში, ასევე საფუძვლიანად შეასწავლოს არჩეული დარგის პრინციპები, მიდგომები, სტანდარტები, თანამედროვე თეორიები, პროფესიული ეთიკის ნორმები. მე-6 პროგრამის სტუდენტს, პირველი პროგრამის სტუდენტისგან განსხვავებით, შეუძლია საკუთარი თავის გამოცდა უფრო დამოუკიდებლად, პირადად ან გუნდში. პროგრამის მიზანია მოამზადოს ახალი და უახლესი ისტორიის სპეციალისტი, რომელსაც ექნება შესაბამისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები კონკრეტული მიმართულებით.

პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და მიღწევადია პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის მიხედვით. შესაბამისი ცოდნისა და პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის გათვალისწინებულ ინდივიდუალურ კურსებს შორის დროისა და შინაარსის ბალანსი ძირითადად რეალისტურია. ეს ყველაფერი შეესაბამება სამაგისტრო დონეს და ასახავს ძირითად უნარებსა და თეორიულ ცოდნას, რომელიც კურსდამთავრებულმა უნდა შეიძინოს. პროგრამა ასევე შეესაბამება უსდ-ს მისიას, ტრადიციებსა და სტრატეგიას, ასევე ადაპტირებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მახასიათებლებთან და მოთხოვნებთან.

პროგრამა 7 - არქეოლოგია, სამაგისტრო პროგრამა

აღწერა - არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა წარმოადგენს არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მომდევნო საფეხურს (როგორც ამ და ასევე სხვა უნივერსიტეტებში) და მიზნად ისახავს კვალიფიციური სპეციალისტის მომზადებას აკადემიური სივრცისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. ამ პროგრამის კურსდამთავრებულები სწავლობენ მემკვიდრეობის მნიშვნელობის გაანალიზებას, მატერიალური ჩანაწერების გაანალიზებას და ისტორიული მოვლენების რეკონსტრუქციის მცდელობას - ისტორიული და არქეოლოგიური წყაროების შერწყმით; ამავდროულად შეძლებენ ადამიანის განვითარებაზე მსჯელობას. პროგრამა ითვალისწინებს არქეოლოგიაში ცოდნის გაღრმავებას, პრინციპების, მიდგომების, სტანდარტების, თანამედროვე თეორიების, ასევე დისციპლინის პროფესიული ეთიკის ნორმების ღრმა და სისტემატურ შესწავლას. პროგრამა კურსდამთავრებულებს უვითარებს არქეოლოგიური კვლევისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს, როგორცაა: არქეოლოგიური კვლევის მეთოდების გამოყენება სამეცნიერო კვლევის ჩატარებისას; მოპოვებული მატერიალური ჩანაწერის საერთო ქრონოლოგიური და კულტურული კუთვნილების დადგენა და მისი სამეცნიერო და ლოკალური მნიშვნელობის განსაზღვრა; წერილობით წყაროებში მოძიებული ინფორმაციის შეჯერება მატერიალურ კულტურასთან და ამის საფუძველზე მონაცემების განზოგადება დასკვნების ჩამოსაყალიბებლად. პროგრამა კურსდამთავრებულებს აძლევს ცოდნას და უნარებს, რომელიც მათ საშუალებას აძლევს, წვლილი შეიტანონ დარგის შემდგომ განვითარებაში და გაავრცელონ მიღებული უახლესი ცოდნა აკადემიურ და არაკადემიურ საზოგადოებაში. პროგრამა კურსდამთავრებულს უვითარებს დამოუკიდებლობისა და ავტონომიის მაღალ ხარისხს, უყალიბებს მას პატივისცემას მრავალფეროვანი კულტურული სამყაროსა და განსხვავებული აზრის მიმართ. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მრავალსაუკუნოვან ტრადიციას და სტრატეგიებს.

სამაგისტრო პროგრამის მიზნები შეესაბამება სწავლების დონეს, არის საჯარო, ხელმისაწვდომი, რეალისტური, მიღწევადი და ასახავს წვლილს დარგის განვითარებაში. მიზანი მკაფიოდ აყალიბებს იმას, თუ რა ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს გამოიმუშავებს არქეოლოგიის მაგისტრი, ეს მიზანი ითვალისწინებს სწავლის სფეროს მახასიათებლებს, ასევე კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს მეშვიდე დონის აღმწერის მოთხოვნებს და სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მესამე მუხლს - „0222 ისტორია და არქეოლოგია“. პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების შესაბამისად. სწავლის დროს გამოიმუშავებული უნარ-ჩვევები კურსდამთავრებულს დასაქმების საშუალებას მისცემს: არქეოლოგიურ ექსპედიციებში-გათხრებში, მუზეუმებში, არქივებში, სპეციალიზებულ ლაბორატორიებში და ზოგადად სიძველეთა სფეროს სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში, შესაბამისი პროფილის სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებში. გარდა ამისა, არქეოლოგიის მაგისტრს შეუძლია დოქტორანტურა სხვადასხვა მიმართულებით გააგრძელოს.

პროგრამა 8 - ისტორია, სადოქტორო პროგრამა

ისტორიის სადოქტორო პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ასახული და შესრულებულია სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების გათვალისწინებით, ასევე თსუ-ის მისიისა და სტრატეგიული გეგმის, და ისტორიისა და არქეოლოგიის სამიზნე ნიშნულების დოკუმენტებზე დაყრდნობით.

კვლევის უნარები, რომლებიც უკვე მოცემულია მაგისტრატურის დონეზე, კიდევ უფრო ვითარდება და დოქტორანტები იძენენ მეტ დამოუკიდებლობას კვლევითი მიმართულებით. დოქტორანტურის უნარების უმეტესობა საკმაოდ ტრანსფერულია, მათ შორის კვლევის მეთოდები, წყაროების კრიტიკული მიმოხილვა, დიდი კვლევითი პროექტის დასრულება,

კვლევის წერა, შემოქმედებითი აზროვნება და პრობლემების მოგვარება. დოქტორანტი ასევე იძენს გარკვეულ გამოცდილებას სწავლებისა და პრეზენტაციების, აგრეთვე სამეცნიერო ნაშრომების წერისას, იმის გათვალისწინებით, რომ ეს მათი საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და წინადადებები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სადოქტორო პროგრამა "ისტორია"

რეკომენდაციები:

რჩევები:

მართალია, სწავლების გამოცდილება ძალიან კარგი უნარია დოქტორანტებისთვის, თუმცა მკაფიო წესებმა და სახელმძღვანელო პრინციპებმა შეიძლება, ერთი მხრივ, გარკვეული თავისუფლება მისცეს აკადემიურ პერსონალს, როდესაც საქმე ეხება კვლევისთვის მეტი დროის გამოყოფას, მეორე მხრივ დანერგოს სამართლიანობის განცდა ყველა დოქტორანტის მიმართ. მაგალითად, ასეთი წესი შეიძლება იყოს, რომ დოქტორანტს არ ჰქონდეს სამაგისტრო პროგრამაზე სწავლების შესაძლებლობა დოქტორანტურის მესამე კურსამდე და რომ მათ აუცილებლად უნდა ასწალონ იმ სფეროში, რომელშიც კვლევას ატარებენ.

შეფასება⁷

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.1 პროგრამის მიზნები				
პროგრამა 1 (ისტორია, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

⁷შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

პროგრამა 2 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (უძველესი ენები და ცივილიზაციები, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (შუა საუკუნეების ისტორია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ახალი და უახლესი ისტორია, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (ისტორია, დოქტორანტურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ყველა პროგრამას აქვს ნათლად გამოხატული სწავლის შედეგები, რომლებიც შეესაბამება იმ საჭირო უნარებს, რომლებიც სტუდენტებმა უნდა მოიპოვონ აღნიშნული ხარისხების მისაღებად.

პროგრამა 1 - ისტორია, საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის სწავლის შედეგებში აღწერილია თეორიული ცოდნა და უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომია, რომელსაც სტუდენტი იძენს პროგრამის სრული კურსის განმავლობაში. სტუდენტი იღებს საბაზისო თეორიულ ცოდნას და ბაკალავრიატის დონეზე იძენს პრაქტიკულ უნარებს ისტორიის ყველა ეპოქის მიმართულებით. შედეგად, სტუდენტი იღებს საბაზისო ცოდნას ამ ეპოქების თავისებურებების შესახებ, აანალიზებს მათ ურთიერთობებს და ურთიერთგავლენას.

სწავლის ამ სფეროს სტუდენტი სწავლის შედეგების მიხედვით უნდა ფლობდეს ისტორიული მეცნიერების ფუნდამენტურ ცოდნას, მათ შორის პრინციპებს, თეორიებს და პროფესიულ ეთიკას. მათ უნდა შეიძინონ ისტორიული პერიოდების, მოვლენებისა და ფიგურების ცოდნა და შეძლონ ისტორიული პროცესების ანალიზი და შეფასება. ისინი ასევე დახელოვნებულნი არიან ემპირიულ დაკვირვებაში, კვლევის მეთოდებში და სამუშაო და საარქივო ობიექტების დოკუმენტირებაში. ძლიერი კომუნიკაციისა და ანალიტიკური უნარები მათ საშუალებას აძლევს დაამუშავონ პროფესიული ლიტერატურა, ამოიციონ ძირითადი მოვლენები, გამოიტანონ ადეკვატური დასკვნები და დაგეგმონ შემდგომი განათლება. სტუდენტებმა უნდა ისწავლონ პირადი პასუხისმგებლობის დაფასება და პროფესიული ეთიკური ნორმების დაცვის მნიშვნელობა. მათ უნდა შეეძლოთ საბაზისო კვლევისა და პრაქტიკული მუშაობის წარმართვა ზედამხედველობის ქვეშ; ასევე დამოუკიდებლად წარმოადგინონ დაკვირვებები და თეორიები.

ანალიზი მიუხედავად იმისა, რომ სწავლის შედეგები, ექსპერტების აზრით, ძალიან მძიმეა, სამართლიანია იმის თქმა, რომ სილაბუსიც და შეფასებაც, როგორც ჩანს, შეესაბამება ამ სწავლის შედეგების მიწოდებას და, შესაბამისად, ეს შედეგები მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადია, შესაბამისად აღწერს უნარ-ჩვევებს, რომლებიც სწავლის ბოლოს ექნება იმ სტუდენტს, რომელიც წარმატებით დაასრულებს პროგრამის მოდულებს. სწავლის შედეგები შესაბამისია დარგობრივ მახასიათებელთან და, როგორც ჩანს, შეესაბამება ამ ხარისხის (ბაკალავრის) დონეს. სწავლის შედეგები ძალიან აქტუალურია პროფესიული დასაქმებისთვის და მათი უმეტესობა სტუდენტებს აძლევს ტრანსფერულ უნარებს, რომლებიც გამოადგება ისტორიის გარდა სხვა დისციპლინებშიც.

პროგრამა 2 - არქეოლოგია, საბაკალავრო პროგრამა

აღწერა

ამ კურსის სწავლის შედეგები მოიცავს არქეოლოგიის თემების ფართო სპექტრს, მათ შორის სხვადასხვა მიმართულებებს, თეორიებს და კვლევის მეთოდებს. ის ასწავლის სტუდენტებს არქეოლოგიური პერიოდიზაციის ეტაპების გაგებას და თითოეული ეპოქის ძირითადი თავისებურებების აღწერას, აგრეთვე სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში მიმდინარე პროცესებს და მატერიალურ კულტურაში არსებულ თავისებურებებს. სტუდენტები სწავლობენ საკითხების იდენტიფიცირებას და ინტერპრეტაციას სოციალური, ეკონომიკური და კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით და აფასებენ სხვადასხვა ტიპის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს შესაბამის კონტექსტში. სწავლის შედეგები ასევე მოიცავს საველე და ლაბორატორიული კვლევის თანამედროვე სტანდარტებს, სამუშაო და არქეოლოგიურ აღმოჩენებთან მუშაობის სპეციფიკას. სტუდენტები სწავლობენ კონკრეტული არქეოლოგიური კომპლექსების კულტურულ და ქრონოლოგიურ ატრიბუტებს, განიხილავენ კონკრეტულ არქეოლოგიურ კულტურებს, აიდენტიფიცირებენ მიმდინარე დარგობრივ პრობლემებს და მუშაობენ არქეოლოგიური ტერმინებითა და კონცეფციებით. პროგრამა ხაზს უსვამს კრიტიკულ აზროვნებასა და ლოგიკურ მსჯელობას, პროფესიულ პასუხისმგებლობას და კულტურული მრავალფეროვნების მნიშვნელობას და არქეოლოგიურ ძეგლებსა და არტეფაქტებზე ზრუნვის აუცილებლობას.

ანალიზი ამ პროგრამის მოდულები, დავალებები და შინაარსი შეესაბამება ამ სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგები მართლაც მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადია და ამ პროგრამის კურსდამთავრებულები ნამდვილად შეიძენენ ამ უნარებს სწავლის დასრულებისას. სწავლის შედეგები შესაბამისია დარგობრივ მახასიათებელთან და, როგორც ჩანს, შეესაბამება ამ ხარისხის (ბაკალავრის) დონეს. სწავლის შედეგები აქტუალურია პროფესიული კუთხით დასაქმებისთვის, მათი უმეტესობა იძლევა ტრანსფერულ უნარებს, რომლებიც სტუდენტებს სხვა

დისციპლინებშიც გამოადგებათ. მაგალითად, არქეოლოგის კრიტიკული აზროვნება და ლოგიკური მსჯელობა იძლევა არამათემატიკურ ანალიტიკურ უნარებს, რომლებიც გამოიყენება თითქმის ყველა დისციპლინაში.

პროგრამა 3 - საქართველოს ისტორია, სამაგისტრო პროგრამა

მე-3 პროგრამის საფეხურზე სტუდენტი იღრმავებს და ავითარებს საბაკალავრო პროგრამაში შეძენილ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს, რომელიც ამჯერად მიმართულია საქართველოს ისტორიის სპეციფიკაზე: უფრო საფუძვლიანად ითვისებს საქართველოს პრეისტორიას, ძველ და ადრეული შუა საუკუნეების ისტორიას, ასევე განვითარებული შუა საუკუნეების, გვიან ფეოდალიზმისა და ახალი თუ უახლესი ისტორიის ფუნდამენტურ საკითხებს; სწავლობს ისტორიული ცნებების ძირითად პრინციპებს, მიდგომებს და თანამედროვე თეორიებს; ატარებს ისტორიული პროცესის გამომწვევი მიზეზების ღრმა კვლევას და შეფასებას. განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომისთვის სათანადო თემას, გეგმავს სამეცნიერო ნაშრომს და კოორდინირებულად მუშაობს ხელმძღვანელთან ერთად. სტუდენტს აქვს სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევები, ფლობს პროფესიული ეთიკის ნორმებს, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, სათანადო არგუმენტების მოყვანისა და წარმოდგენის, განზოგადებული დასკვნების გამოტანის, დამოუკიდებელი შეფასების უნარს.

სწავლის შედეგები უზრუნველყოფს, სტუდენტს ჰქონდეს არჩეული მიმართულების სიღრმისეული ცოდნა, პროფესიული ეთიკის ნორმები და საჭირო კვლევითი სამუშაოს მოცულობის შეფასების უნარი. მათ უნდა შეეძლოს საკვლევი თემების განსაზღვრა, მეცნიერული მიდგომისა და კომპლექსური კვლევის მეთოდების გამოყენება კვლევის ჩასატარებლად, თავიანთი ნამუშევრების პროფესიონალურად წარმოჩენა და კოლეგებთან თანამშრომლობა. მათ უნდა შეეძლოს დამოუკიდებლად მუშაობა, ეთიკის ნორმების დაცვა, საკვლევი საკითხისთვის საჭირო ლიტერატურისა და საარქივო მასალის დამუშავება.

ანალიზი ამ პროგრამის მოდულები, დავალები და შინაარსი შეესაბამება ამ სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგები მართლაც მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადია და ამ პროგრამის კურსდამთავრებულები ნამდვილად შეიძენენ ამ უნარებს სწავლის დასრულებისას. სწავლის შედეგები შეესაბამება დარგობრივი მახასიათებელს და მაგისტრატურის საფეხურს. სწავლის შედეგები ძალიან აქტუალურია პროფესიული დასაქმებისთვის და მათი უმეტესობა სტუდენტებს აძლევს ტრანსფერულ უნარებს, რომლებიც გამოადგება ისტორიის გარდა სხვა დისციპლინებშიც. მაგალითად, ისტორიკოსის კრიტიკული აზროვნება და ლოგიკური მსჯელობა იძლევა კარგ კვლევით და ანალიტიკურ უნარებს, რომლებიც სასარგებლოა მრავალი დისციპლინისა და სამუშაოს მიმართულებისთვის.

პროგრამა 4 - უძველესი ენები და ცივილიზაციები, სამაგისტრო პროგრამა

სწავლის შედეგები უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულებს ჰქონდეთ მინიმუმ ერთი "მკვდარი ენის" ცოდნა, რათა ჩაატარონ სამეცნიერო მუშაობა ამ ენაზე შედგენილ ტექსტებთან, აღიარონ სპეციალური მიდგომებისა და მეთოდოლოგიების საჭიროება სხვადასხვა ტიპის წყაროებისთვის, ჰქონდეთ სიღრმისეული ცოდნა ანტიკური სამყაროს, უძველესი ხალხის ისტორიის, კულტურის და მსოფლმხედველობის შესახებ, შეძლონ შესაბამისი ფაქტებისა და მოვლენების და თანამედროვეობაზე მათი გავლენის ინტერპრეტაცია და ანალიზი, კრიტიკულად შეაფასოს მულტიდისციპლინური და ინტერდისციპლინური სამეცნიერო მიდგომები და სიძველეთა დარგში არსებული თეორიები, გაიაზროს ისტორიის, კულტურისა და ძველი

მსოფლიოს რელიგიის არაერთგვაროვანი გადაცემის მიდგომები, ისტორიის ხელშემწყობი ფაქტები და იდეოლოგიური გავლენები. მათ უნდა შეეძლოთ დამოუკიდებლად მოიძიონ ინფორმაცია, რომელიც შეიცავს სხვადასხვა ისტორიულ წყაროს, დაგეგმონ და ჩაატარონ კვლევა დადგენილი აკადემიური სტანდარტების გამოყენებით, კვლევის შედეგები წარმოადგინონ წერილობით და ზეპირად, ეფექტურად წარმართონ კომუნიკაცია როგორც მშობლიურ, ისე უცხო ენებზე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, დაიცვან გუნდური მუშაობის პრინციპები, შეძლონ ადაპტირება მულტიდისციპლინურ სასწავლო ან სამუშაო გარემოსთან, დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები და აიღონ მათზე პასუხისმგებლობა აკადემიური ეთიკის დაცვით და შეძლონ ამ სფეროში არსებული ცოდნის განვითარებაში წვლილის შეტანა.

ანალიზი - პროგრამის ზემოაღნიშნული სწავლის შედეგები (პერიფრაზირებული) შეესაბამება პროგრამის მიზნებს, არის მკაფიოდ გამოხატული, რეალისტური, მიღწევადი და გაზომვადი; აღწერს იმ ცოდნას და უნარებს, რომლებსაც სტუდენტი სწავლის პროცესში იძენს. სწავლის შედეგები შემუშავებულია არქეოლოგიის დარგობრივი მახასიათებლის, სწავლის სფეროს თავისებურებების, სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მე-3 მუხლით განსაზღვრული დეტალური სწავლის სფეროს (0222 ისტორია და არქეოლოგია) შინაარსის შესაბამისად და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას - „სიძველეთმცოდნეობის მაგისტრი“. პროგრამის შედეგების შემუშავება ავლენს მონაწილეთა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობას. სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგები შედგენილია კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს VII დონის კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვნების მიხედვით. სწავლის შედეგები შესაბამისია პროფესიული დასაქმების სფეროების მოთხოვნებთან და იძლევა შესაძლებლობას კურსდამთავრებულმა გააგრძელოს სწავლა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურებზე. არსებობს ტრანსფერული სწავლის შედეგების მიმართ ძალისხმევა, რომელიც აზრს იძენს უძველესი ენებისა და ცივილიზაციების მიღმა, სხვა სამუშაო სივრცეშიც.

პროგრამა 5 - შუა საუკუნეების ისტორია, სამაგისტრო პროგრამა

ამ პროგრამაზე სტუდენტი იღრმავებს და ივითარებს საბაკალავრო პროგრამაში შეძენილ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს, რომელიც ამჯერად მიმართულია შუა საუკუნეების ისტორიის სპეციფიკაზე: ადრეული შუა საუკუნეების ისტორიის უფრო საფუძვლიანად ათვისება, ასევე განვითარებული და გვიანი ფეოდალიზმის ფუნდამენტური საკითხები; სწავლობს ისტორიული ცნებების ძირითად პრინციპებს, მიდგომებს და თანამედროვე თეორიებს; ატარებს ისტორიული პროცესის გამომწვევი მიზეზების ღრმა კვლევას და შეფასებას. განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომისთვის თემის შესაბამის პრობლემას, გეგმავს ნაშრომს და კოორდინირებულად მუშაობს ხელმძღვანელთან. სტუდენტს აქვს სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევები, ფლობს პროფესიული ეთიკის ნორმებს, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, სათანადო არგუმენტების მოყვანისა და წარმოდგენის, განზოგადებული დასკვნების გამოტანის, დამოუკიდებელი შეფასების უნარს.

სწავლის შედეგები უზრუნველყოფს, რომ სტუდენტს ჰქონდეს შესაბამისი მიმართულების პრინციპების, მიდგომებისა და თეორიების სიღრმისეული ცოდნა და აღქმა, და რომ იხელმძღვანელოს პროფესიული ეთიკით. სტუდენტებს აქვთ უნარები, რომ დაგეგმონ, განახორციელონ და წარადგინონ კვლევითი ნაშრომი, სამეცნიერო მეთოდებისა და კომპლექსური კვლევითი ტექნიკების გამოყენებით. სტუდენტი არის პასუხისმგებელიანი, ავტონომიური და

შეუძლია თანამშრომლობა სამეცნიერო ხელმძღვანელთან ან ინტერდისციპლინურ ჯგუფთან ისე, რომ დაიცვას ეთიკური ნორმები და ჩაატაროს დამოუკიდებელი კვლევა.

ანალიზი -პროგრამის ზემოაღნიშნული სწავლის შედეგები (შეჯამებული) შეესაბამება პროგრამის მიზნებს, არის მკაფიოდ გამოხატული, რეალისტური, მიღწევადი და გაზომვადი; აღწერილია ის ცოდნა და უნარები, რომლებსაც სტუდენტი სწავლის პროცესში იძენს. სწავლის შედეგები შემუშავებულია ისტორიის დარგობრივი მახასიათებლის, სწავლის სფეროს თავისებურებების, სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მე-3 მუხლით განსაზღვრული დეტალური სწავლის სფეროს (0222 ისტორია და არქეოლოგია) შინაარსის შესაბამისად და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას - „სიძველეთმცოდნეობის მაგისტრი“. პროგრამის შედეგების შემუშავება ავლენს მონაწილეთა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობას. სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგები შედგენილია კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს VII დონის კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვნების მიხედვით. სწავლის შედეგები შესაბამისია პროფესიული დასაქმების სფეროების მოთხოვნებთან და იძლევა შესაძლებლობას კურსდამთავრებულმა გააგრძელოს სწავლა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურებზე. არსებობს ტრანსფერული სწავლის შედეგების მიმართ ძალისხმევა, რომელიც აზრს იძენს შუა საუკუნეების ისტორიის მიღმა, სხვა სამუშაო სივრცეშიც.

პროგრამა 6 - ახალი და უახლესი ისტორია, სამაგისტრო პროგრამა

ამ პროგრამაზე, სტუდენტი იღრმავებს და ავითარებს საბაკალავრო პროგრამაში შეძენილ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს, რომელიც ამჯერად მიმართულია ახალი და უახლესი ისტორიის სპეციფიკაზე: ისტორიის ამ ეტაპის ფუნდამენტური საკითხების უფრო სრულყოფილად ათვისება; სწავლობს ისტორიული ცნებების ძირითად პრინციპებს, მიდგომებს და თანამედროვე თეორიებს; ატარებს ისტორიული პროცესის გამომწვევი მიზეზების ღრმა კვლევას და შეფასებას. განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომისთვის თემის შესაბამის პრობლემას, გეგმავს ნაშრომს და კოორდინირებულად მუშაობს ხელმძღვანელთან. სტუდენტს აქვს სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევები, ფლობს პროფესიული ეთიკის ნორმებს, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, სათანადო არგუმენტების მოყვანისა და წარმოდგენის, განზოგადებული დასკვნების გამოტანის, დამოუკიდებელი შეფასების უნარს.

სწავლის შედეგები უზრუნველყოფს, რომ სტუდენტი სწავლის ბოლოს ფლობდეს სიღრმისეულ ცოდნას და გააზრებას არჩეული მიმართულების პრინციპების, მიდგომებისა და თეორიების, ასევე პროფესიული ეთიკის შესახებ. მათ გააჩნიათ კვლევის ჩატარების უნარები სამეცნიერო მეთოდების, ემპირიული დაკვირვებისა და კვლევის რთული ტექნიკის გამოყენებით. სტუდენტი არის პასუხისმგებელიანი, ავტონომიური და შეუძლია ითანამშრომლოს სამეცნიერო ხელმძღვანელთან ან ინტერდისციპლინურ ჯგუფთან, ეთიკის ნორმების დაცვით და დამოუკიდებელი კვლევის ჩატარებით, რათა წარმოადგინოს საერთო ისტორიული კონცეფციები სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით.

ანალიზი -პროგრამის ზემოაღნიშნული სწავლის შედეგები (შეჯამებული) შეესაბამება პროგრამის მიზნებს, არის მკაფიოდ გამოხატული, რეალისტური, მიღწევადი და გაზომვადი; აღწერილია ის ცოდნა და უნარები, რომლებსაც სტუდენტი სწავლის პროცესში იძენს. სწავლის შედეგები შემუშავებულია ისტორიის დარგობრივი მახასიათებლის, სწავლის სფეროს თავისებურებების, სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მე-3 მუხლით განსაზღვრული დეტალური სწავლის სფეროს (0222 ისტორია და არქეოლოგია) შინაარსის შესაბამისად და შეესაბამება მისანიჭებელ

კვალიფიკაციას - „სიძველეთმცოდნეობის მაგისტრი“. პროგრამის შედეგების შემუშავება ავლენს მონაწილეთა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობას. სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგები შედგენილია კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს VII დონის კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვნების მიხედვით. სწავლის შედეგები შესაბამისია პროფესიული დასაქმების სფეროების მოთხოვნებთან და იძლევა შესაძლებლობას კურსდამთავრებულმა გააგრძელოს სწავლა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურებზე. არსებობს ტრანსფერული სწავლის შედეგების მიმართ ძალისხმევა, რომელიც აზრს იძენს ახალი ისტორიის მიღმა სხვა სამუშაო სივრცეებშიც. მაგალითად, ავტონომიური კვლევა და ისტორიული კონცეფციების გამოყენება ძალიან აქტუალურია ზოგადად სამყაროს გაგებისთვის და, შესაბამისად, აქტუალურია მრავალი განსხვავებული სამუშაო გარემოსთვის.

პროგრამა 7 - არქეოლოგია, სამაგისტრო პროგრამა

აღწერა - პროგრამას აქვს 15 სწავლის შედეგი, რომელიც მოიცავს არქეოლოგიური ცოდნის მნიშვნელობის ანალიზს, კავკასიის რეგიონისა და საქართველოს როლის ობიექტურ განსაზღვრას ცივილიზაციების ევოლუციაში, ეპოქებისა და კულტურული მოდელების რეკონსტრუქციას არტეფაქტებზე დაფუძნებით, რეგიონის უძველესი საზოგადოებების სიღრმისეული მიმოხილვის უნარს, მატერიალური ნაშთების ქრონოლოგიური და კულტურული კუთვნილების განსაზღვრას, მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლების და მიღწევების აღწერას, რთული პრობლემების გადასაჭრელად მასალის შეგროვებას, ანალიზს და შეფასებას, პერსპექტივების წერილობით და ზეპირად წარმოჩენას, აკადემიური ტექსტების მომზადებას, მოვლენების სივრცითი განაწილების შეფასებას, დამოუკიდებელი კვლევის ჩატარებას, განსხვავებული მოსაზრებების პატივისცემას და შერჩევისა და განზოგადების პრინციპებით მოქმედებას.

აღწერა - ორივე დონეზე პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, არის მკაფიოდ გამოხატული, რეალისტური, მიღწევადი და გაზომვადი; აღწერილია ის ცოდნა და უნარები, რომლებსაც სტუდენტი სწავლის პროცესში იძენს. სწავლის შედეგები შემუშავებულია არქეოლოგიის დარგობრივი მახასიათებლის, სწავლის სფეროს თავისებურებების, სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მე-3 მუხლით განსაზღვრული დეტალური სფეროს (0222 ისტორია და არქეოლოგია) შინაარსის შესაბამისად და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას - „არქეოლოგიის ბაკალავრი“, „არქეოლოგიის მაგისტრი“. პროგრამის შედეგების შემუშავება გულისხმობს მონაწილეებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობას. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგები შედგენილია კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს VI და VII საფეხურების კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვნების მიხედვით. სწავლის შედეგები შესაბამისია პროფესიული დასაქმების სფეროების მოთხოვნებთან და იძლევა შესაძლებლობას კურსდამთავრებულმა გააგრძელოს სწავლა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურებზე.

პროგრამა 8 - ისტორია, სადოქტორო პროგრამა

პროგრამის სწავლისა და უნარების შედეგები აღწერილია შემდეგნაირად: სტუდენტებს უნდა შეეძლოთ შეაფასონ უახლესი თეორიები და მიდგომები ისტორიის სფეროში, აღწერონ განვითარების ძირითადი ნიმუშები და კონცეფციები და გააფართოვონ არსებული ცოდნა ინოვაციური მიდგომების გამოყენებით. მათ უნდა შეეძლოთ შექმნან სამეცნიერო ღირებულების მქონე ტექსტები და პუბლიკაციები, რომლებიც შეიცავს ახალი კვლევის შედეგებს, მკაფიოდ

განსაზღვრონ კვლევის საკითხები, დაგეგმონ და მოიძიონ მონაცემები და წარმოადგინონ თავიანთი დასკვნები სემინარებსა და კონფერენციებზე. გარდა ამისა, მათ უნდა შეეძლოთ ინოვაციური მიდგომების გამოყენებით ცოდნის გადაცემა სტუდენტებსა და საზოგადოებაში, დამოუკიდებლად დაგეგმონ და განახორციელონ კვლევითი პროექტები და ხელი შეუწყონ დარგის განვითარებას ორიგინალური მეთოდებითა და მიდგომებით. ყველა სამუშაო უნდა შესრულდეს მაღალი დონის აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერებით.

ამის საფუძველზე, მაგრამ ასევე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არსებობს გარკვეული ტრანსფერული შედეგები, კერძოდ:

- ხანგრძლივი ვადით თვითმოტივაცია, რათა შესრულდეს მსხვილი პროექტი.
- მკაცრი და მაღალი სტანდარტების მსხვილი პროექტის ორგანიზება და წარმატებით დასრულება
- ძლიერი არამათემატიკური ანალიტიკური უნარები
- ძლიერი კვლევითი უნარები
- ძლიერი ანალიტიკური და დეტალური ბენჩმარქინგის უნარი

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ეს სწავლის შედეგები ნათელია, უმჯობესი იქნება მათი უფრო ფართოდ გავრცელება როგორც უნივერსიტეტში, ასევე უნივერსიტეტის პარტნიორების მიმართ, რადგან ისინი ხაზს უსვამენ ზემოხსენებულ (და შესაძლოა უფრო მეტ) ტრანსფერულ უნარებს, რომლებსაც დოქტორანტები იძენენ სადოქტორო პროგრამის მეშვეობით და ასევე, რომლებიც მათ შესაძლებლობას აძლევს დასაქმდნენ ისეთ დისციპლინებში, რომლებიც არა მხოლოდ მათ მკაცრ ინტერესთა სფეროს მიეკუთვნება. იგივე შეეხება საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებსაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა; თანდართული სილაბუსები; პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; ინტერვიუები დამსაქმებლებთან და შრომის ბაზრის ანალიზი; კურსდამთავრებულთა ინტერვიუები; დაწესებულების ვებსაიტი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და წინადადებები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ყველა პროგრამა

რეკომენდაციები:

- **რჩევები:** პროგრამების სწავლის შედეგები, მკაფიოა, თუმცა ისინი მუდმივად ცხადად უნდა ჩანდეს სილაბუსებში (ამჟამად ისინი არის), სტუდენტთა სახელმძღვანელოებში და ვებგვერდზე სტუდენტთა სარგებლობისთვის.

ტრანსფერულ შედეგებზე (უნარებზე) ყურადღების გამახვილება არსებითი მნიშვნელობისაა იმისათვის, რომ თითოეული პროგრამის ღირებულების შესახებ კომუნიკაცია მოხდეს სამინისტროსთან, პოტენციურ სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და პოტენციურ დონორებთან.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ისტორია, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (უძველესი ენები და ცივილიზაციები, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (შუა საუკუნეების ისტორია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ახალი და უახლესი ისტორია, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 8 (ისტორია, დოქტორანტურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
------------------------------------	-------------------------------------	--------------------------	--------------------------	--------------------------

1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერის აღწერა და ანალიზი

სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საერთო შეფასება მოიცავს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. თითოეულ ელემენტს აქვს თავისი პროცენტული წილი შეფასების მთლიან სისტემაში: სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საბოლოო შეფასებისას გათვალისწინებულია შუალედური შეფასებები (მათ შორის, სემინარზე აქტივობა - 30 ქულა; შუალედური გამოცდები - 15-15 ქულა) და დასკვნითი გამოცდის შეფასებები. საბოლოო გამოცდა სავალდებულოა, შეფასების სისტემაში მისი ფარდობითი წილი არის მაქსიმუმ 40 ქულა. სტუდენტს სემესტრის განმავლობაში უნდა ჰქონდეს დაგროვილი მინიმუმ 21 ქულა. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს ფინალური გამოცდის 50%-ს.

ამასთან, გამოქვეყნებული მარკირების კრიტერიუმები (A>90%, B=81-90%, C=71-80, D=61-70, E=51-60 და უარყოფითი შეფასება FX=41-50 და F<40), მაღლა მოცემულ ინფორმაციასთან ერთად, აკმაყოფილებს შეფასების მოთხოვნებს. მნიშვნელოვანია მკაცრად იქნეს დაცული პლაგიატის მკაცრი წესები (პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში შესაფასებელი საკითხი არ ფასდება).

სტუდენტს საშუალება ეძლევა ჩააბაროს შუალედური ან დასკვნითი გამოცდა (ჩააბაროს განმეორებითი გამოცდა); საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასება (საბაკალავრო ნაშრომი). საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობა მიმდინარეობს სამ ეტაპად: 1. საბაკალავრო ნაშრომის თემის შერჩევა და დამტკიცება; 2. შუალედური დაცვა; 3. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა. შუალედური დაცვა: დაცვაში მიღების წინაპირობაა შუალედური დაცვის დროს შესრულებული სამუშაოს საჯაროდ/საბჭოს წინაშე წარდგენა: 1. მინიმუმ 5 გვერდიანი ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ (ტექსტი); 2. ზეპირი პრეზენტაცია, რომელიც მოიცავს საილუსტრაციო მასალას და ამ ეტაპისთვის ჩატარებული კვლევის ძირითად დებულებებსა და პრობლემებს. შუალედური დაცვა არ ფასდება. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა: საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ შექმნილ რიგგარეშე კომისიის წინაშე. სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომს და ზეპირ პრეზენტაციას. ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით: შეფასება ქულების მაქსიმალური რაოდენობის მიხედვით. შეფასების კვალიფიკაცია - 91% - 100% A. "ფრიადი" დადებითი; 81% - 90% (B) "ძალიან კარგი" დადებითი; 71%- 80% (C)) "კარგი" დადებითი; 61% - 70% (D) "დამაკმაყოფილებელი" დადებითი; 51% - 60% (E) "საკმარისი" დადებითი; 41% - 50% (FX) "ვერ ჩააბარა", ნებადართულია განმეორებითი გამოცდა; უარყოფითი 0% - 40% (F) "ჩაიჭრა", კურსი უნდა გაიაროს თავიდან.

კრიტერიუმები არის ლოგიკური, თანმიმდევრული და გამჭვირვალე. შეფასების პერიოდულობა ითვალისწინებს სწავლების პროცესს და სპეციფიკას, შეიცავს შეფასების სხვადასხვა მეთოდს. შედეგების მიზნები წინასწარ არის განსაზღვრული. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ადარებს მიღწეულ შედეგებს წინასწარ განსაზღვრულ

სამიზნე ნიშნულებს და ამზადებს სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშს. ამ გზით იზომება სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დონე. სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასების მთავარი მექანიზმი მათი მიღწევების მონიტორინგია. სტუდენტების აკადემიური მოსწრების შესახებ მონაცემები გროვდება და ანალიზდება ყოველი სემესტრის ბოლოს, ფასდება სტატისტიკა და ა.შ. ფასდება აკადემიური მოსწრების დინამიკა, სტუდენტების კმაყოფილების კვლევა, ტარდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა, დგინდება და ანალიზდება შემდეგი მონაცემები: სტუდენტების რაოდენობა, ვინც ჩააბარა დასკვნითი გამოცდა და ვინ არ გამოცხადდა, ვინ ჩააბარა განმეორებითი გამოცდა და რამდენი აპელაცია იქნა შემოსული. ისეთი კრიტერიუმები, როგორცაა: სასწავლო მიზნების მიღწევა, მასალის მოცულობის შესაბამისობა გამოყოფილ დროსთან (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განსაზღვრული დროის რაოდენობა), შეფასების ფორმების შესაბამისობა. აკადემიური მოსწრების შედეგები აისახება გაუსის სკალაზე. მიღებული შედეგები შედარებულია კმაყოფილების კვლევის ანალიზით მიღებულ შედეგებთან. შეფასების შედეგებზე რეაგირება, ხარვეზების აღმოფხვრის პროცესი მოწმდება მომდევნო სემესტრში, როდესაც ტარდება აკადემიური მოსწრების შეფასების ანალოგიური პროცესი. შედეგები ასახულია სილაბუსების განახლებულ ვერსიებში. შეფასების სისტემა არის ნათელი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი სტუდენტებისთვის.

ყოველწლიურად ტარდება დეპარტამენტის სხდომა, სადაც განიხილება სილაბუსის გაუმჯობესება, სტუდენტების გამოხმაურების მიღწევების გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები; თანდართული სილაბუსები; გასაუბრება სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და აკადემიურ პერსონალთან; სტუდენტების სადიპლომო ნაშრომები; სამიზნე ნიშნულები, სასწავლო გეგმის რუკა, დაწესებულების ვებგვერდი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და წინადადებები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ყველა პროგრამა

- **რეკომენდაციები:** საჭიროა მკაცრად ჩამოყალიბდეს სტუდენტის კმაყოფილების ერთგვაროვანი სისტემა (მათ შორის, სწავლის შედეგებთან დაკავშირებით) თითოეული

მოდულისთვის, რაც უზრუნველყოფს ყველა მოდულის შეფასებას სტუდენტების მიერ, სასურველია ეს მოხდეს საბოლოო ნიშნებისა და გამოცდების შედეგების გამოქვეყნებამდე. მიუხედავად იმისა, რომ ეს სისტემა არსებობს, ინტერვიუებმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ყველა მოდულის შეფასება ერთნაირად არ ხდება. აქ არის რეკომენდებული სისტემის ჰომოგენურობა, რადგან ამჟამად მონაცემები გროვდება და მიმდინარეობს ანალიზი დეპარტამენტის მიერ.

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (საქართველოს ისტორია, სამაგისტრო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (უძველესი ენები და ცივილიზაციები, სამაგისტრო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (შუა საუკუნეების ისტორია, სამაგისტრო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ახალი და უახლესი ისტორია, სამაგისტრო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (არქეოლოგია, სამაგისტრო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (ისტორია, სადოქტორო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სტრუქტურირებული და შემუშავებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, და შეფასების წესების" შესაბამისად და "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" შესაბამისად არქეოლოგიასა და ისტორიაში. თითოეულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები დადგენილია და შეესაბამება შესაბამის კანონმდებლობას. თითოეული პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება განათლების შესაბამის დონეს. საგანმანათლებლო და კვლევითი კომპონენტები ლოგიკურად არის ორგანიზებული და თანმიმდევრულად განვითარებული. სასწავლო კურსები თითოეულ სემესტრში ურთიერთდაკავშირებულია და უკავშირდება შემდეგ სემესტრს. სავალდებულო და არჩევითი კურსების კომბინაცია უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების შესაბამისობას მითითებულ კვალიფიკაციასთან. პროგრამების ხანგრძლივობა, შინაარსი და მოცულობა შესაბამისობაშია განათლების დონისთან. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის ინფორმაციის გამჭვირვალობას.

აღწერა და ანალიზი

პროგრამა 1 - ისტორია, საბაკალავრო პროგრამა

საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობაა 8 სემესტრი, ხოლო კრედიტების რაოდენობა 240 ECTS კრედიტი, რომლებიც ნაწილდება შემდეგნაირად: 50 ECTS კრედიტი ეთმობა საბაზისო სავალდებულო მოდულებს (ენათმეცნიერების შესავალი, აკადემიური წერა, შესავალი ფილოსოფიაში და საქართველოს ისტორია: თითოეული 5 ECTS-მდე) და არჩევითი სასწავლო კურსები (10 ECTS ეთმობა თანამედროვე ევროპულ ენებს: ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ესპანური, იტალიური, ბერძნული, რუსული, პოლონური, სკანდინავიური ენები; 10 ECTS ეთმობა კლასიკურ და თანამედროვე აღმოსავლურ ენებს: ბერძნული, ლათინური, თურქული, სომხური, ებრაული, არაბული, სპარსული, იაპონური, ჩინური; 10 ECTS ეთმობა ჰუმანიტარულ საგნებს: შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში, ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ხელოვნება, კულტურა, კავკასიოლოგია, ამერიკათმცოდნეობა და ა.შ.). 100 ECTS კრედიტი ეთმობა ძირითად (პროფილურ) სპეციალობას: ისტორიული კვლევის მეთოდები, საქართველოს ისტორია 5 ნაწილად უძველესიდან თანამედროვეობამდე, ძველი მსოფლიო ისტორიის საფუძვლები, ძველი აღმოსავლური და კლასიკური ისტორია, ადრეული შუა საუკუნეები და ჯვაროსნული ლაშქრობები, გვიანი შუა საუკუნეები და რენესანსის ეპოქა, "ბიზანტიის თანამეგობრობის" ისტორია, ახლო აღმოსავლეთის ისტორია 3 ნაწილად: შუა საუკუნეები, ახალი და უახლესი ისტორია და ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია 4 ნაწილად: 1550-1789, 1789-1914, 1914-1945 და 1945 წლიდან დღემდე. საერთო ჯამში ისინი შეადგენს 90 ECTS-ს,

თითოეული 5 ECTS, ხოლო დამატებით 10 ECTS ეთმობა საბაკალავრო ნაშრომს. 20 ECTS ეთმობა არჩევით სასწავლო კურსებს, რომელთა ჩამონათვალი მდიდარია. კერძოდ: ქართული წყაროები, ისტორიოგრაფია, ისტორიული გეოგრაფია, ქართული მატთანე და მისი კულტურული და ისტორიული მნიშვნელობა, ქართული ნუმიზმატიკა, ფეოდალური საქართველოს ეკონომიკური ისტორია, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ისტორია საქართველოში. არის საგნები, რომლებიც დაკავშირებულია ძველი აღმოსავლეთის, კლასიკური სამყაროს, შუა საუკუნეების აღმოსავლეთისა და დასავლეთის ისტორიასთან, ახალი და უახლესი ისტორიის საფუძვლები, რუსეთის, საფრანგეთის, იტალიის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის ისტორია, ასევე არის დიპლომატიის ისტორიასთან დაკავშირებული დისციპლინები. საბოლოოდ 10 ECTS კრედიტი ეთმობა ე.წ. სტუდენტის თავისუფალ არჩევანს.

სტუდენტებს ეძლევათ საშუალება აირჩიონ სასურველი დამატებითი პროგრამა (60 ECTS კრედიტი): ძირითადი (პროფილური) სპეციალობის 25 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: საქართველოს ისტორია, ძველი მსოფლიო ისტორიის საფუძვლები, ადრეული შუა საუკუნეები და ჯვაროსნული ეპოქა, ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია: 1914-1945 და ახლო აღმოსავლეთის შუა საუკუნეების ისტორია. დამატებითი 35 ECTS კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს სასწავლო კურსების სავალდებულო ან რომელიმე არჩევითი საგანი.

წარმოდგენილი პროგრამის შინაარსიდან და სტრუქტურულიდან გამომდინარე, პროგრამა უზრუნველყოფს საბოლოო მიზნის მიღწევას - გააცნოს სტუდენტს ისტორიის ძირითადი და არჩევითი დისციპლინები და ძირითადი მიმართულებები, იმისათვის, რომ შეძენილი საბაზისო ცოდნის საფუძველზე სტუდენტმა შეძლოს სასურველი სპეციალიზაციის არჩევა სწავლის შემდეგ საფეხურზე.

პროგრამა– 2 არქეოლოგია, საბაკალავრო პროგრამა

აღწერა - არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) შესაბამისად. პროგრამა არის სტუდენტზე ორიენტირებული და ეფუძნება აკადემიურ დატვირთვას, რომელიც შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა 8 სემესტრია, მოცულობა კი 240 კრედიტი, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: 50 ECTS კრედიტი ეთმობა ჰუმანიტარული საგნების საბაზისო სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს. 120 ECTS კრედიტი განკუთვნილია (სპეციალობისთვის) ძირითადი სპეციალობისთვის. 60 ECTS კრედიტის ფარგლებში სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს სასურველი დამატებითი პროგრამა, ხოლო 10 ECTS კრედიტი განისაზღვრება ე.წ. სტუდენტის თავისუფალი არჩევანისთვის. ძირითადი სპეციალობის 120 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 75 ECTS კრედიტი განკუთვნილია სპეციალობის ძირითად კურსებისთვის, 35 ECTS კრედიტი ეთმობა სპეციალობის არჩევით კურსებს და 10 ECTS კრედიტი განკუთვნილია საბაკალავრო ნაშრომისთვის.

ანალიზი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობისა და კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) მიხედვით. გამოყენებულია უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და შეფასების მეთოდოლოგია და პროცესში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულის დონე ემთხვევა სწავლების დონეს და აძლევს სტუდენტებს აუცილებელ უნარებსა და ცოდნას არქეოლოგიის ბაკალავრის ხარისხის მისაღებად. პროგრამის

სტრუქტურა კარგად არის ორგანიზებული და კომპონენტები ლოგიკურად არის დალაგებული. თუმცა, სასურველია ზოგიერთ კურსს ჰქონდეს წინაპირობა, რათა პირველკურსელებს გაუადვილდეთ გაგება. უნივერსიტეტმა ასევე უნდა განიხილოს სემესტრული სავალდებულო კურსების ცხრილის შექმნა იმავე მიზნით. პროგრამა ასახავს არქეოლოგიის სფეროში უახლეს მიღწევებს და უნივერსიტეტი ასაჯაროებს პროგრამის შესახებ ინფორმაციას. პროგრამა ასევე ეხება ინტერნაციონალიზაციისთვის საჭირო საკითხებს, რომლებიც შეესაბამება სწავლების დონეს.

პროგრამა 3 - საქართველოს ისტორია მაგისტრატურა

პროგრამის (3) დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება მაგისტრის ხარისხი.

სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 სემესტრი, მოცულობა კი 120 ECTS კრედიტი; რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: საგანმანათლებლო კომპონენტი – 90 ECTS კრედიტი აქედან 60 ECTS კრედიტი ეთმობა პროგრამის სავალდებულო კურსებს, ხოლო 30 ECTS კრედიტი პროგრამის არჩევით სასწავლო კურსებს; კვლევითი კომპონენტი – სამაგისტრო ნაშრომი – 30 ECTS კრედიტი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პროგრამის სავალდებულო კურსებს ეთმობა 60 ECTS კრედიტი, აქედან ერთი მესამედი, ანუ 20 ECTS კრედიტი ეკუთვნის საბაზისო სავალდებულო დისციპლინებს: საქართველო და გარესამყარო: ევროპის „შექმნა“ და ევროპის ინტეგრაციის ისტორიული ფორმები, ქართული საისტორიო მწერლობა, ქართული ისტორიული მეცნიერებისა და პრაქტიკის განვითარება საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის, ეროვნულ არქივისა და მუზეუმების მიმართულებით; დამატებითი 40 ECTS კრედიტი იყოფა ორ მოდულს შორის: 1) ანტიკური და ფეოდალური საქართველოს ისტორია ანტიკური ხანის საქართველოს სავალდებულო კურსებით (ძვ. წ. VI ს - ახ. წ. III ს.), ბერძნული და რომაული წყაროები საქართველოს შესახებ, ეპიგრაფიკული წყაროები ფეოდალური საქართველოს ისტორიის შესახებ, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, როგორც ისტორიული წყაროები, ბიზანტიური ავტორები საქართველოს შესახებ, ფეოდალური საქართველოს ისტორიის დოკუმენტური წყაროები, საქართველო და ქართველები სომხური ნარატიული წყაროების მიხედვით (V-XVIII სს.) და გერმანული და რუსული წყაროები ფეოდალური საქართველოს ისტორიის შესახებ; 2) კიდევ ერთი მოდული არის საქართველოს ისტორია მე-19-21 საუკუნეებში საქართველოს უახლესი ისტორიის წყაროებისა და ისტორიოგრაფიის (1801-1917) სავალდებულო კურსებით. საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ვიზუალური წყაროები: ფოტო-პოსტერ-კარიკატურა/ფერწერა-ფილმი, საქართველოს უახლესი ისტორიის წყაროები და ისტორიოგრაფია (1917-2016 წწ.), პოლიტიკური პარტიების ისტორია საქართველოში: XIX საუკუნის ბოლოდან 21-ე საუკუნემდე, ქართული ემიგრაციის ისტორია: XX-XXI საუკუნეები, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება: XIX-XXI სს, საქართველოს სოციალური და ეკონომიკური ისტორია: XIX-XXI საუკუნეები და საქართველო და საქართველოს საკითხი საერთაშორისო პოლიტიკაში: XIX-XXI საუკუნეები.

20 ECTS კრედიტი ეთმობა პროგრამის არჩევით სასწავლო კურსებს საგნების ფართო არჩევანით: მონეტები და ფულის კონვერტაცია ძველ საქართველოში, ქართული დიპლომატიის ისტორია: IV-XVIII საუკუნეები, ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა საქართველოში უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე, პოლიტიკური მნიშვნელობის ისტორია საქართველოში XIX -XX საუკუნეებში, საქართველო და დასავლეთი XIX-XXI საუკუნეებში, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში: შედარებითი პერსპექტივა, ქართული იდენტობის ისტორია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921 წლებში, საბჭოთა საქართველო და სსრკ და სხვ.

ეს პროგრამა მოიცავს ყველა იმ დისციპლინას, რომელიც წარმოადგენს ყველა იმ მიმართულებას, რომელიც პრიორიტეტულია პროგრამისთვის და უნივერსიტეტის მისიის, მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმისთვის.

პროგრამა ასახავს ფაკულტეტის გამოცდილებას და ამავდროულად აწვდის სტუდენტებს დარგის თანამედროვე მიდგომების ცოდნას და ავითარებს მათ თეორიულ უნარს. სტუდენტს ასევე ეძლევა შესაძლებლობა გაიუმჯობესოს ინგლისური ენის ცოდნა.

პროგრამა 4 - უძველესი ენები და ცივილიზაციები, სამაგისტრო პროგრამა

აღწერა - უძველესი ენებისა და ცივილიზაციების სამაგისტრო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) შესაბამისად, არის სტუდენტზე ორიენტირებული და ეფუძნება აკადემიურ დატვირთვას, რომელიც შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებებს. სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობა 4 სემესტრია, მოცულობა კი 120 ECTS კრედიტი, აქედან 20 კრედიტი ეთმობა სავალდებულო საგნებს, 70 კრედიტი – არჩევით კურსებს, ხოლო 30 კრედიტი – სამაგისტრო ნაშრომს.

ანალიზი – უძველესი ენებისა და ცივილიზაციების სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობითა და ECTS – ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით დადგენილი პროცედურების შესაბამისად, უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. პროგრამების შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება მაგისტრატურის დონეს. პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რომელიც შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას - უძველესი ენების და ცივილიზაციების მაგისტრი ასახავს დარგის თანამედროვე მიღწევებს. პროგრამა შეესაბამება სხვა მსგავს პროგრამებს საერთაშორისო დონეზე.

პროგრამა 5 – შუა საუკუნეების ისტორია მაგისტრატურა

პროგრამის (5) დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 სემესტრი, მოცულობა კი 120 ECTS კრედიტი; რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: საგანმანათლებლო კომპონენტი – 90 ECTS კრედიტი, აქედან 60 ECTS კრედიტი ეთმობა პროგრამის სავალდებულო კურსებს, ხოლო 30 ECTS კრედიტი პროგრამის არჩევით სასწავლო კურსებს; კვლევითი კომპონენტი – სამაგისტრო ნაშრომი – 30 ECTS კრედიტი.

პროგრამა 3–სგან განსხვავებით, 60-ვე ECTS კრედიტი ეთმობა ძირითად სავალდებულო კურსებს: თანამედროვე შუა საუკუნეების შესწავლა: ძირითადი პრობლემები და სპეციფიკა შუა საუკუნეების კვლევებში, პაპობა და კათოლიკური ეკლესია შუა საუკუნეებში, მეთოდოლოგია ისტორიაში, ფეოდალური საზოგადოება, ინგლისის პარლამენტი და პოლიტიკური კულტურის ფორმირება, ბიზანტიური ცივილიზაცია და ბიზანტინიზმის ფენომენი, ლათინური/ბერძნული ენა: ინტენსიური კურსი მედიეველისტიკა 1, შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის სულიერი კულტურა: ფილოსოფია, განათლება, მეცნიერება, ჰუმანიზმი და რენესანსი, რეფორმაცია და პროტესტანტიზმი და ქალაქური ცხოვრება ისლამურ სამყაროში.

საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის მსგავსად, 20 ECTS კრედიტი ეთმობა პროგრამის არჩევით სასწავლო კურსებს საგნების ფართო არჩევანით: ყოველდღიური ცხოვრება შუა საუკუნეების ევროპაში, ჯვაროსნული აღმოსავლეთი მე-12-13 საუკუნეებში, ინგლისური რეფორმა და ტიუდორების ევროპული პოლიტიკა, პაპობა და დასავლური ცივილიზაცია, ინკვიზიცია და მისი როლი შუა საუკუნეების საზოგადოებაში, ლათინური/ბერძნული ენა: ინტენსიური კურსი მედიეველისტიკა 2, სასულიერო და რაინდული ორდენები და მათი როლი მსოფლიო პოლიტიკაში და ა.შ.

ეს პროგრამა მოიცავს ყველა იმ დისციპლინას, რომელიც წარმოადგენს იმ მიმართულებებს, რომლებიც პრიორიტეტულია პროგრამისთვის და უნივერსიტეტის მისიისთვის, მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმისთვის.

პროგრამა წარმოადგენს ფაკულტეტის კვლევებს და სტუდენტებს აძლევს ცოდნას დარგში არსებული მიდგომების შესახებ, ასევე განზოგადების/თეორიზაციის უნარის განვითარებას. სტუდენტებს ასევე ეძლევათ შესაძლებლობა გაიუმჯობესონ ინგლისური ენის ცოდნა.

პროგრამა 6 – ახალი და უახლესი ისტორია მაგისტრატურა

ამ პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 სემესტრი, მოცულობა კი 120 ECTS კრედიტი; რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: საგანმანათლებლო კომპონენტი – 90 ECTS კრედიტი, აქედან 60 ECTS კრედიტი ეთმობა პროგრამის სავალდებულო კურსებს, ხოლო 30 ECTS კრედიტი პროგრამის არჩევით სასწავლო კურსებს; კვლევითი კომპონენტი – სამაგისტრო ნაშრომი – 30 ECTS კრედიტი.

ეს პროგრამა სტრუქტურულად უფრო ჰგავს პროგრამა 3-ს, მაგრამ აქ არის ოთხი მოდული: ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია. პროგრამა 3–ისგან განსხვავებით, ამ მოდულის სავალდებულო კურსებს მხოლოდ 30 ECTS კრედიტი ეთმობა: ჰაბსბურგი ესპანეთი, საფრანგეთის ისტორია მე-17 საუკუნეში, ბრიტანეთის კოლონიური იმპერია, საფრანგეთი რევოლუციისა და ნაპოლეონის ეპოქის დროს, რისორჯიმენტო და იტალიის კავშირი, გერმანია 1871-1945 წლებში, ამერიკის შეერთებული შტატები: გზა ზესახელმწიფოსაკენ: 1898-1945, მარქსისტული ექსპერიმენტი რუსეთში: აღზევება და ბოროტების იმპერიის დასასრული; არის ორი საგანი (პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროცესები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში და ურთიერთობები ისლამურ სამყაროსა და საქართველოს შორის) 10 ECTS კრედიტით (პოლიტიკური ისლამი და კონფლიქტები და დიპლომატია თანამედროვე ახლო აღმოსავლეთში) და 5 ECTS კრედიტით მე-2 მოდულში: ახლო აღმოსავლეთის ისტორია. მოდული 3–ის (შორეული აღმოსავლეთის ისტორია) სტრუქტურა მოდული 1–ის მსგავსია 6 სავალდებულო დისციპლინით: იაპონიის თვითიზოლაციის პოლიტიკის დასასრული და ქვეყნის გახსნა: მეიმის ეპოქა, შორეული აღმოსავლეთის ბუდისტური სამყარო, შორეული აღმოსავლეთი და გარე სამყარო 1910-1956 წლებში, ფილოსოფიური და რელიგიური დოქტრინები აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, კულტურათა დიალოგი შორეულ აღმოსავლეთში და შორეული აღმოსავლეთის ისტორია 21-ე საუკუნეში. მოდული 4 (ახალი და უახლესი საერთაშორისო ურთიერთობები), ისევე როგორც მოდული 2, განსხვავდება სხვებისგან 10 ECTS კრედიტით ერთ საგანში (ცივი ომი) და ოთხი 5 ECTS კრედიტიანი საგნით: პაპების დიპლომატია ახალ და უახლოეს ეპოქამდე, მე-19 საუკუნის დიპლომატები, ომის შემდგომი დიპლომატია: ვერსალიდან სსრკ-გერმანიის პაქტამდე და ევროპული ინტეგრაციის ისტორია: ეკონომიკური

თანამშრომლობიდან პოლიტიკურ გაერთიანებამდე. ყველა სხვა სამაგისტრო პროგრამის მსგავსად, 20 ECTS კრედიტი დაეთმო პროგრამის არჩევით სასწავლო კურსებს, ასევე საგნების ფართო არჩევანით: პირველი მსოფლიო ომის ისტორია, ისლამი და გენდერი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, საერთაშორისო ორგანიზაციები, დაზვერვის სამსახურების ისტორია, სასულიერო და რაინდული ორდენები და მათი როლი მსოფლიო პოლიტიკაში, რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკა, ისტორიის დიდაქტიკა, ინგლისი მე-17 საუკუნეში, ევროპა მე-16 საუკუნეში და ა.შ.

ყველა სხვა სამაგისტრო პროგრამისგან განსხვავებით, სტუდენტს შეუძლია დამატებით აირჩიოს რეკომენდებული არჩევითი საგნები სხვა მაგისტრატურის პროგრამებიდან 10 ECTS კრედიტის ფარგლებში: აღმოსავლური ეთიკური თეორიები (სამაგისტრო პროგრამა "ფილოსოფია"), არაბული პრესის ენა და პოლიტიკური ტექსტები (სამაგისტრო პროგრამა "არაბისტიკა"), ბიზნეს-არაბული (სამაგისტრო პროგრამა "არაბისტიკა"), ნავთობი, წყალი და პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში (სამაგისტრო პროგრამა "არაბისტიკა"), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა: 1918-1921 (სამაგისტრო პროგრამა „საქართველოს ისტორია“), საქართველო და დასავლეთი (სამაგისტრო პროგრამა „საქართველოს ისტორია“) და სხვ.

ეს პროგრამა მოიცავს ყველა იმ დისციპლინას, რომელიც წარმოადგენს ყველა იმ მიმართულებას, რომელიც პრიორიტეტულია პროგრამისთვის და დაწესებულების მისიისთვის, მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმისთვის.

პროგრამა წარმოაჩენს ფაკულტეტს საუკეთესო კუთხით, რაც გამოიხატება იმაში, რომ აწვდის სტუდენტებს დარგის თანამედროვე მიდგომების ცოდნას, და უვითარებთ განზოგადების უნარს. სტუდენტს ასევე ეძლევა შესაძლებლობა გაიუმჯობესოს ინგლისური ენის ცოდნა.

პროგრამა 7 - არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) შესაბამისად, არის სტუდენტზე ორიენტირებული და შესაბამისი აკადემიური დატვირთვით საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 სემესტრი, ხოლო კრედიტის რაოდენობა 120 ECTS კრედიტი, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: სასწავლო კომპონენტი 90 ECTS კრედიტი: აქედან 60 ECTS კრედიტი ეთმობა სავალდებულო პროგრამულ კურსებს, ხოლო 30 ECTS კრედიტი არჩევით სასწავლო კურსებს; კვლევის კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი - არის 30 ECTS კრედიტი.

ანალიზი – არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობითა და ECTS – ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით დადგენილი პროცედურების შესაბამისად. მაგისტრატურა იყენებს უნივერსიტეტის მეთოდოლოგიას საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და მიწოდებისთვის, რომელიც ასევე გულისხმობს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება ამ აკადემიური ხარისხის დონეს.

პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და შეესაბამება კვალიფიკაციის დონეს - არქეოლოგიის მაგისტრი. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია. პროგრამა მოიცავს თემების მთელ რიგს, რომელიც შეესაბამება საკვალიფიკაციო ხარისხის დონეს.

პროგრამა 8 - სადოქტორო პროგრამა ისტორიაში 8

პროგრამის ხანგრძლივობაა 3 წელი. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტს ეთმობა 40 ECTS, აქედან 25 ძირითადი კურსებისთვის და 15 არჩევით. გარდა ამისა, სტუდენტი ვალდებულია დაწეროს სტატიები ჟურნალებში და კონფერენციებზე წარადგინოს სადოქტორო დისერტაციის ნაწილები (2 სხვადასხვა კვლევითი პროექტი).

ანალიზი – ისტორიის სადოქტორო პროგრამა შეესაბამება საქართველოს შესაბამის კანონმდებლობას და თავსებადია ECTS-თან. პროგრამაში არის როგორც სასწავლო მოდულები, ასევე ფართო კვლევების ჩატარების მოლოდინი. ეს ასე არ არის ბევრ სხვა ქვეყანაში, მაგრამ ის უზრუნველყოფს ყველა დოქტორანტის ცოდნის მაღალ ხარისხს. უფრო მეტიც, დოქტორანტებისთვის არის გარკვეული განსაკუთრებული ძალისხმევა, რომ შეიძინონ მაღალი დონის კვლევის უნარები (ამ უნარების ნაწილის ათვისება ხდება მაგისტრატურაში) და ასევე სწავლების გამოცდილება (თუმცა ეს არ არის უნივერსალური). კვლევითი ნაშრომების დაწერის მოლოდინი, როგორც სადოქტორო მოთხოვნების ნაწილი, კარგია, თუმცა როგორც ზოგიერთმა დოქტორანტმა განმარტა ძალიან მცირეა სტანდარტული ფინანსური მხარდაჭერა იმ ვრცელი კვლევის ხარჯებისთვის, რომლებსაც სტუდენტები გადაიან (მაგ., ფოტოკოპირების ან სკანირების ხარჯები).

კლასტერული ანალიზი - ისტორიის (სხვადასხვა დარგის), არქეოლოგიის, ასევე უძველესი ენებისა და ცივილიზაციების საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამები შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემის შესაბამისად, უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. პროგრამების შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება განათლების განსაზღვრულ დონეს. პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამების სტრუქტურა თანმიმდევრულია, თუმცა სასურველია, რომ საბაკალავრო პროგრამებში ზოგიერთ საგანს ჰქონდეს წინაპირობები, რათა გაუადვილოს ბაკალავრიატის პირველკურსელებს სასწავლო პროცესში გარკვევა. ასევე მიგვაჩნია, რომ სასურველია, რომ იგივე მიზნიდან გამომდინარე, ყოველ სემესტრში განისაზღვროს სავალდებულო სასწავლო კურსების ცხრილი. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ყველა დარგში ასახავს დარგის მიღწევებს, თუმცა აღმოვაჩინეთ, რომ სასურველია განახლდეს ბიბლიოგრაფია და შინაარსი განსაკუთრებით ისტორიის მაგისტრანტებისთვის. სწავლების დონესთან დაკავშირებული ინტერნაციონალიზაციის საკითხები იკითხება ყველა პროგრამაში და არის განსაკუთრებული ძალისხმევა ყველა დონეზე საერთაშორისო შესაძლებლობების მისაღწევად.

ბოლო დროს განხორციელდა პროგრამების განხილვა, რომელიც ყოველწლიურად ხორციელდება დეპარტამენტის სხდომებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამაგისტრო, საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამები თანდართული სილაბუსებით; სწავლის შედეგების რუკა; დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების

ინტერვიუები; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; დაწესებულების ვებგვერდი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები:

რჩევები:

სასწავლო კურსების ძირითადი ნაწილის სილაბუსებში სახელმძღვანელოების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს კრედიტებით განსაზღვრულ საათების რაოდენობას. სასწავლო კურსების მცირე ნაწილის სილაბუსში უნდა დაკონკრეტდეს ახალი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები. ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების არარსებობის შემთხვევაში დასაშვებია ელექტრონული რიდერის შექმნა.

პროგრამა 3 (საქართველოს ისტორია, სამაგისტრო)

რეკომენდაციები:

რჩევ(ებ)ი: ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსები (ეპიგრაფია ფეოდალური საქართველოს ისტორიისთვის, ქართული ჰაგიოგრაფია, როგორც ისტორიული წყარო, დიპლომატია ფეოდალური საქართველოს ისტორიისთვის, ფეოდალური ხანის ქართული საერო და საეკლესიო სამართლებრივი დოკუმენტები) მოიცავს 2000-იან წლებამდე გამოცემულ სავალდებულო ლიტერატურას. სასურველია ამ სილაბუსებში შეიტანოთ ახალი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები.

პროგრამა 5 (შუა საუკუნეების ისტორია, სამაგისტრო)

რეკომენდაციები:

რჩევები: სასურველია, რომ სასწავლო კურსების მცირე ნაწილის სილაბუსში დაკონკრეტდეს ახალი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები.

პროგრამა 6 (ახალი და უახლესი ისტორია, სამაგისტრო)

რეკომენდაციები:

რჩევები:

სასწავლო კურსების ზოგიერთ სილაბუსში უნდა დაკონკრეტდეს ახალი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები.

პროგრამა 8 (ისტორია, სადოქტორო)

რეკომენდაციები:

რჩევები: შესაძლებელია, ღირდეს იმაზე ფიქრი, დოქტორანტურის კვლევის მეთოდები და სასწავლო კომპონენტები ხომ არ სჯობს შეტანილი იყოს უფრო მეტად მაგისტრატურის პროგრამაში. ამან შეიძლება გაამართლოს არაოფიციალური პოლიტიკა, რომ სადოქტორო პროგრამაზე ძირითადად ხდება, ამავე უნივერსიტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა მიღება. ალტერნატიულად, კარგი იქნება იმის უზრუნველყოფა, რომ სადოქტორო პროგრამამ მოიზიდოს ბევრი სხვა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ.

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (საქართველოს ისტორია, სამაგისტრო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (უძველესი ენები და ცივილიზაციები, სამაგისტრო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 5 (შუა საუკუნეების ისტორია, სამაგისტრო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ახალი და უახლესი ისტორია, სამაგისტრო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (არქეოლოგია, სამაგისტრო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (ისტორია, სადოქტორო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერი

ისტორიისა და არქეოლოგიის კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების შინაარსი აღწერილია შესაბამის სილაბუსებში. სასწავლო კურსების სილაბუსი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: სასწავლო კურსის დასახელება, ავტორი/ავტორები, ლექტორი/ლექტორები; სტატუსი, კრედიტების რაოდენობა სტუდენტის საათობრივ დატვირთვა, მიღების წინაპირობები, მიზნები, სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა. სასწავლო კურსების შინაარსი, კრედიტების რაოდენობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სტუდენტებისთვის სასწავლო კურსების შეთავაზების სქემა და ალგორითმი უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ ცოდნის შეძენას დარგის განვითარების ლოგიკის მიხედვით. სავალდებულო საკითხავი და სილაბუსებში მითითებული სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და დარგის მიღწევებს.

ისტორიისა და არქეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების ძირითადი სასწავლო სფეროს სასწავლო კურსების სასწავლო-კვლევითი კომპონენტების შედეგები ქმნიან პროგრამის საბოლოო სწავლის შედეგებს ყველა მიმართულებით. თითოეული კურსის შინაარსი შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი საათების თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, შინაარსს და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის შეფასების ფორმების, მეთოდებისა და კრიტერიუმების მუშავებით ხდება თითოეული სწავლის შედეგის შეფასება. სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ძირითადად ეფუძნება დარგის თანამედროვე მიღწევებს. სილაბუსი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კურსის დასახელება, ხანგრძლივობა, კრედიტების რაოდენობა, საათების განაწილება, ლექტორი, სასწავლო კურსზე

მიღების წინაპირობები, სწავლების მეთოდები, კურსის მიზანი, სწავლის შედეგები და კომპეტენციები, ძირითადი თემები, შეფასების მეთოდი, ლიტერატურა და სხვა რესურსები, თემები კვირების მიხედვით.

აღწერა და ანალიზი - ისტორია, საბაკალავრო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს უზრუნველყოფს ისტორიის საბაკალავრო პროგრამაში წარმოდგენილი ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგები. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს, რაც თავის მხრივ შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის დონეს. კურსებზე გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ასახავს დარგის უახლეს მოვლენებს და წარმოადგენს სწავლის შედეგების საფუძველს. მიმდინარეობს ახალი სასწავლო/სამეცნიერო ლიტერატურის შესყიდვა და სილაბუსების განახლება. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა განთავსებულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებული ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსები 100 კრედიტის ოდენობით სრულად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. საქართველოს ისტორია წარმოდგენილია 5 ცალკეული კურსით, თითოეული 5 ECTS კრედიტის მოცულობით. ეს კურსები მოიცავს ქრონოლოგიას უძველესი დროიდან დღემდე; უძველესი მსოფლიო ისტორია წარმოდგენილია 3 ცალკეული კურსით: ძველი მსოფლიო ისტორიის საფუძვლები, ძველი აღმოსავლური და კლასიკური ისტორია, ხოლო რამდენიმე დისციპლინა წარმოდგენილია შუა საუკუნეების ისტორიის საგნებით: ადრეული შუა საუკუნეები და ჯვაროსნული ერა, გვიანი შუა საუკუნეები და რენესანსის ეპოქა, "ბიზანტიური თანამედრობის" ისტორია. ახლო აღმოსავლეთის ისტორია წარმოდგენილია 3 ნაწილად: შუა საუკუნეები, ახალი და უახლესი ისტორია და ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია 4 ნაწილად: 1550-1789, 1789-1914, 1914-1945 და 1945 წლიდან დღემდე. საერთო ჯამში ეს მოდული შეადგენს 90 ECTS-ს, თითოეული იწონის 5 ECTS-ს, ხოლო დამატებით 10 ECTS ეთმობა საბაკალავრო ნაშრომს. 50 კრედიტი ენიჭება საბაზისო სავალდებულო და არჩევით ჰუმანიტარულ მოდულებს, რომლებიც პროგრამის კურსდამთავრებულს აწვდის ზოგად ჰუმანიტარულ ცოდნას, ასევე აძლევს უცხო ენის კომპეტენციებს, დარგის მიღწევების ხელმისაწვდომობის და სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის მიზნით.

ევროპული და აღმოსავლური ენები ასევე წარმოდგენილია როგორც არჩევითი საგნები, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს გაიდრმავოს უცხო ენების ცოდნა, რაც აუცილებელი პირობაა მეცნიერებაში თანამედროვე მიღწევების გაცნობისა და სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსების სილაბუსების დიდ ნაწილში დამატებით სასწავლო მასალად არის მითითებული უცხოენოვანი ლიტერატურა, რაც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას გაეცნოს დარგში საერთაშორისო მიღწევებს.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო მოდულების სილაბუსების სავალდებულო ნაწილში სახელმძღვანელოების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს კრედიტებით განსაზღვრულ საათებს. სილაბუსების ახალი სახელმძღვანელოებითა და მონოგრაფიებით განახლების მცდელობა არა მხოლოდ მოდულების უმეტესობას, არამედ ყველა მოდულს და სილაბუსს უნდა ეხებოდეს. ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების არარსებობის შემთხვევაში მისაღებია ელექტრონული რიდერის შექმნა.

აღწერა და ანალიზი - არქეოლოგია, საბაკალავრო პროგრამა

არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში წარმოდგენილი სავალდებულო სასწავლო კურსების შესწავლის შედეგებით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების უზრუნველყოფა. თითოეული კურსის შინაარსი შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს, რაც თავის მხრივ შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის დონეს. თითოეული კურსისთვის კრედიტების რაოდენობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის შინაარსს და აღნიშნული პროგრამის დონეს. სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ასახავს, მთლიანობაში, დარგის უახლეს მიღწევებს. მუდმივად მიმდინარეობს ახალი სასწავლო/სამეცნიერო ლიტერატურის შეძენა და სილაბუსების განახლება. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია პროგრამაში მითითებული ძირითადი ლიტერატურა;

პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებული ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები და ჯამში 120 კრედიტი სრულად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების შესრულებას. საქართველოს არქეოლოგია წარმოდგენილია 5 სალექციო კურსით, კავკასიის არქეოლოგია 2 სალექციო კურსით, მსოფლიო არქეოლოგია 5 სალექციო კურსით, არქეოლოგიის ისტორია და მსოფლიო არქეოლოგიის ზოგადი საკითხები 2 სალექციო კურსით, არქეოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია და მუზეუმის არქეოლოგიური კოლექციის შენარჩუნება 2 კურსით. დაფარულია პრაქტიკული ანთროპოლოგია, არქეომინერალოლოგია, საქართველოს პალეო-გეომორფოლოგია, ქანდაკება და არქეოლოგიის დამხმარე სხვა დისციპლინები. 50 კრედიტი ეთმობა საბაზისო სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, რაც ყველა კურსდამთავრებულს აძლევს საბაზისო საფუძველს შესაბამის საკითხებში, მათ შორის უცხო ენაზე, რაც აუცილებელი პირობაა სტუდენტებისთვის არქეოლოგიის თანამედროვე მიღწევების გაცნობისთვის, ისევე როგორც სასწავლო გეგმის (და კვლევის) ინტერნაციონალიზაციისთვის. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსი მოიცავს სავალდებულო ლიტერატურას, რომელიც გამოიცა 2015 წლამდე. მაგრამ ასეთ შემთხვევებში, ლექტორების მიერ მომზადებული სასწავლო მასალა ხშირად იღებს რიდერისა და ჰენდაუთების ფორმას, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაეცნონ დარგის უახლეს მიღწევებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კურსის სილაბუსების უმეტესობაში დამატებით სასწავლო მასალად არის მითითებული უცხოენოვანი ლიტერატურა, რაც სტუდენტს ეხმარება გაეცნოს დარგის საერთაშორისო განვითარებებს.

აღწერა და ანალიზი - საქართველოს ისტორია, სამაგისტრო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს უზრუნველყოფს ამ სამაგისტრო პროგრამაში წარმოდგენილი ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგები. თითოეული სასწავლო მოდულის შინაარსი შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს, რაც თავის მხრივ შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის დონეს. თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები შეესაბამება ამ კურსის შინაარსს და სწავლის შედეგს. სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ასახავს დარგის უახლეს მოვლენებს და წარმოადგენს სწავლის შედეგების საფუძველს. მიმდინარეობს ახალი სასწავლო/სამეცნიერო ლიტერატურის შესყიდვა და სილაბუსების განახლება. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა განთავსებულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს ძირითადი სპეციალობის სავალდებულო (60 კრედიტი) და არჩევით (30 კრედიტი) მოდულებს, ჯამში 90 კრედიტი, რაც სრულად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში (ფეოდალური საქართველოს ისტორიის ეპიგრაფია, ქართული ჰაგიოგრაფია, როგორც ისტორიული წყარო, ფეოდალური საქართველოს ისტორიის დიპლომატია, ფეოდალური ეპოქის ქართული საერო და საეკლესიო სამართლებრივი დოკუმენტები) არის 2000-იან წლებამდე გამოცემული სავალდებულო ლიტერატურა. სასურველია ამ სილაბუსებში დაზუსტდეს ახალი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები.

აღწერა და ანალიზი - არქეოლოგია, სამაგისტრო პროგრამა

არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები უზრუნველყოფს მისანიჭებელი ხარისხის სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული მოდულის შინაარსი შეესაბამება ამ კურსის შესწავლის ძირითად შინაარსს, რაც თავის მხრივ შეესაბამება შესაბამის საფეხურს. თითოეული კურსისთვის კრედიტების რაოდენობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ასახავს დარგის უახლეს მიღწევებს და ეხმარება სტუდენტებს მიაღწიონ სწავლის შედეგებს და გახდნენ სასწავლო დარგის კომპეტენციით აღჭურვილი სპეციალისტები. საგანმანათლებლო/სამეცნიერო ლიტერატურისა და სილაბუსის მუდმივი განახლება უწყვეტი პროცესია. სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა განთავსებულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (როგორც ყველა სხვა პროგრამაში).

პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს ძირითადი სპეციალობის სავალდებულო მოდულებს (60 კრედიტი) და არჩევით მოდულებს (30 კრედიტი), სასწავლო მოდულებისთვის ჯამში 90 კრედიტს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების შესრულებას. სტუდენტები იძენენ სავალდებულო მუშაობის გამოცდილებას და ცოდნას სავალდებულო სამუშაოს კვლევის მეთოდოლოგიაზე. სავალდებულო პრაქტიკა საშუალებას აძლევს მათ შეისწავლონ არქეოლოგიური არტეფაქტების კონსერვაციისა და აღდგენის საფუძვლები, არქეოლოგიური ადგილების იდენტიფიკაციისა და შესწავლის თანამედროვე ტექნოლოგიები, ლითონის აღმოჩენის ტექნოლოგიები და სხვა აუცილებელი სავალდებულო სამუშაოებთან დაკავშირებული უნარები. არჩევითი მოდულების სახით წარმოდგენილია ევროპული ენის 10 კრედიტიანი მოდულებიც, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაიღრმავონ ენობრივი კომპეტენციები. ეს აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ შეძლონ არქეოლოგიის დარგის თანამედროვე მიღწევების გაცნობა, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია სასწავლო გეგმისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციისთვის. ზოგიერთი მოდულის სილაბუსში, ლექტორების მიერ მომზადებული სასწავლო მასალა ასევე გამოიყენება რიდერის სახით სახელმძღვანელოებთან ერთად, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაეცნონ დარგის უახლეს განვითარებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კურსის სილაბუსების უმეტესობაში დამატებით სასწავლო მასალად ასევე მითითებულია უცხოენოვანი ლიტერატურა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა (უძველესი ენები და ცივილიზაციები, სამაგისტრო პროგრამა)

მაგისტრატურის ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსები უძველეს ენებსა და ცივილიზაციებში, ისევე როგორც მთლიანი საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს შესაბამისი ხარისხის სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული მოდულის შინაარსი შეესაბამება სწავლის შედეგებს, როგორც ეს არის მითითებული თითოეული მოდულის მიერ, რაც, თავის მხრივ, შეესაბამება შესაბამის უმაღლესი განათლების საფეხურს (MA). თითოეული მოდულისთვის კრედიტების რაოდენობა, საკონტაქტო საათები და სწავლის დამოუკიდებელი საათები საკმარისად ითვლება როგორც სწავლის შედეგების მისაღწევად, ასევე სწავლის ამ დონის მოთხოვნების შესასრულებლად. სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ასახავს დარგის უახლეს განვითარებას და წარმოადგენს საკმარის მხარდაჭერას იმისათვის, რომ

სტუდენტებმა მიაღწიონ თითოეული მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. მიმდინარეობს ახალი სასწავლო/სამეცნიერო ლიტერატურის შექმნა და სილაბუსის მუდმივი განახლება; სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს სავალდებულო (20 კრედიტი) და არჩევით (70 კრედიტი) სასწავლო მოდულებს, ჯამში 90 კრედიტს და ამით სრულად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების წარმატებით მიღწევას ყველა კურსდამთავრებულისათვის. 20 კრედიტი ეთმობა სიძველეთა ინტერდისციპლინურ სემინარს, რომელიც კურსდამთავრებულს საშუალებას აძლევს შეიძინოს სისტემური ცოდნა სიძველეთა ინტერდისციპლინურ სფეროში, საფუძვლიანად გაეცნოს შესაბამისი დისციპლინების კვლევის მეთოდოლოგიას და მათ უახლეს განვითარებას, განავითაროს დამოუკიდებელი სამეცნიერო მუშაობა ისევე როგორც პრეზენტაციის უნარები ამ სამუშაოს შედეგების პრეზენტაციისთვის. მაგისტრატურის სტუდენტები გადიან სწავლებას უძველეს ენაზე (ძველ ბერძნულ, ლათინურ, შუმერულ, ხეთურ, ხატაურში), ეცნობიან კვლევის მეთოდებს ბერძნულ-რომაულ ფილოლოგიაში, სწავლობენ ამ ენებზე დაწერილი ტექსტებითა და წარწერებით. ისინი ასევე ეუფლებიან ძველი ხმელთაშუა ზღვისა და შუა აღმოსავლეთის დამწერლობის სისტემებს, ძველ ქართულ-ხმელთაშუა კულტურებს, სწავლობს ბერძნულ და რომაულ ლიტერატურას, ძველ აზიურ ლიტერატურას, ასევე ძველ ცივილიზაციებს. ევროპული ენების მოდულს, როგორც არჩევით საგანს ეთმობა 10 კრედიტი, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაიღრმავონ თავიანთი კომპეტენცია უცხო ენებში. ეს ეხმარება მათ გაეცნონ თავიანთ სფეროში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს, მაგრამ ასევე ეხმარება კურსს სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის მიზნის მიღწევაში. ზოგიერთი სასწავლო მოდულის სილაბუსში ასევე გამოყენებულია ლექტორების მიერ მომზადებული სასწავლო მასალა რიდერისა და ჰენდაუთების სახით, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაეცნონ დარგის უახლეს მიღწევებს. ვინაიდან სამაგისტრო პროგრამა მოიცავს საგანმანათლებლო კურსებს ანტიკური ცივილიზაციის შესასწავლად, სასურველი იქნებოდა აქ ანტიკური არქეოლოგიაც ყოფილიყო წარმოდგენილი

აღწერა და ანალიზი - შუა საუკუნეების ისტორია, სამაგისტრო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს უზრუნველყოფს ამ სამაგისტრო პროგრამაში წარმოდგენილი ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგები. თითოეული სასწავლო მოდულის შინაარსი შეესაბამება მაგისტრატურის სწავლის შედეგებს, რაც თავის მხრივ შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის დონეს. თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები შეესაბამება ამ კურსის შინაარსს და სწავლის შედეგს. სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ასახავს დარგის უახლეს მოვლენებს და წარმოადგენს სწავლის შედეგების საფუძველს.

პროგრამის სტრუქტურა სხვა სამაგისტრო პროგრამების მსგავსია: ძირითადი სპეციალობის სავალდებულო (60 კრედიტი) და არჩევითი (30 კრედიტი) სასწავლო კურსები, ჯამში 90 კრედიტი და სრულად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ეს პროგრამა განსაკუთრებულია იმით, რომ 60 ECTS კრედიტი ეთმობა ძირითად სავალდებულო კურსებს: თანამედროვე შუა საუკუნეების სწავლება; ძირითადი პრობლემები და სპეციფიკა შუა საუკუნეების სწავლებაში, პაპობა და კათოლიკური ეკლესია შუა საუკუნეებში, მეთოდოლოგია ისტორიაში, ფეოდალური საზოგადოება, ინგლისის პარლამენტი და პოლიტიკური კულტურის

ფორმირება, ბიზანტიური ცივილიზაცია და ბიზანტინიზმის ფენომენი, ლათინური/ბერძნული ენა: ინტენსიური კურსი მედიევლისტიკა 1, შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის სულიერი კულტურა: ფილოსოფია, განათლება, მეცნიერება, ჰუმანიზმი და რენესანსი, რეფორმაცია და პროტესტანტიზმი და ქალაქური ცხოვრება ისლამურ სამყაროში. 30 ECTS კრედიტი ეთმობა პროგრამის არჩევით სასწავლო მოდულებს, ასევე საგნების ფართო არჩევანით: ყოველდღიური ცხოვრება შუა საუკუნეების ევროპაში, ჯვაროსნული აღმოსავლეთი მე-12-13 საუკუნეებში, ინგლისური რეფორმა და ტიუდორების ევროპული პოლიტიკა, პაპობა და დასავლური ცივილიზაცია, ინკვიზიცია და მისი როლი შუა საუკუნეების საზოგადოებაში, ლათინური/ბერძნული ენა: ინტენსიური კურსი მედიევლისტიკა 2, სასულიერო და რაინდული ორდენები და მათი როლი მსოფლიო პოლიტიკაში და ა.შ. კლასიკური ენები, რომელთაც განკუთვნილი აქვთ 10 კრედიტი, ასევე წარმოდგენილია როგორც სავალდებულო და არჩევითი საგნები, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს გააღრმავოს წყაროების ცოდნა შესაბამისი ლიტერატურის ორიგინალში წაკითხვით.

ჩვენი აზრით, სასწავლო კურსების ზოგიერთ სილაბუსში უნდა დაზუსტდეს ახალი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები.

აღწერა და ანალიზი - ახალი და უახლესი ისტორია, სამაგისტრო პროგრამა

აქ დაჯგუფებული სამაგისტრო პროგრამის სასწავლო მოდულების შინაარსი აღწერილია შესაბამის სილაბუსებში, რომელიც მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: სასწავლო კურსის დასახელება, ავტორი/ავტორები, ლექტორი/ლექტორები; სტატუსი, კრედიტების რაოდენობა სტუდენტის საათობრივ დატვირთვაზე, დაშვების წინაპირობები, მიზნები, სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა. მოდულების შინაარსი, მათთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, ასევე მოდულების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სტუდენტებისთვის სასწავლო კურსების შეთავაზების სქემა და ალგორითმი უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ ცოდნის შეძენას დარგის განვითარების ლოგიკის მიხედვით. სავალდებულო საკითხავი და სილაბუსებში მითითებული სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და დარგის მიღწევებს.

მოდულების სწავლებისა და კვლევის კომპონენტების შედეგები ქმნიან პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო მოდულების შინაარსი შეესაბამება სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი საათების თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს მოდულის სპეციფიკას, მის შინაარსს და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის შეფასების ფორმების, მეთოდებისა და კრიტერიუმების მეშვეობით ხდება თითოეული სწავლის შედეგის შეფასება. სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ძირითადად ეფუძნება დარგის თანამედროვე მიღწევებს: ჰაბსბურგი ესპანეთი, საფრანგეთის ისტორია მე-17 საუკუნეში, ბრიტანეთის კოლონიური იმპერია, საფრანგეთი რევოლუციისა და ნაპოლეონის ეპოქის დროს, რისორჯიმენტო და იტალიის კავშირი, გერმანია 1871-1945 წლებში, ამერიკის შეერთებული შტატები: გზა ზესახელმწიფოსაკენ: 1898-1945 წწ.; მარქსისტული ექსპერიმენტი რუსეთში: ბოროტების იმპერიის აღზევება და დასასრული, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროცესები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში და ურთიერთობები ისლამურ სამყაროსა და საქართველოს შორის, პოლიტიკური ისლამი და კონფლიქტები და დიპლომატია თანამედროვე ახლო აღმოსავლეთში; ახლო აღმოსავლეთის ისტორია; იაპონიის თვითიზოლაციის პოლიტიკის

დასასრული და ქვეყნის გახსნა: მეიძის ეპოქა, შორეული აღმოსავლეთის ბუდისტური სამყარო, შორეული აღმოსავლეთი და გარე სამყარო 1910-1956 წლებში; ფილოსოფიური და რელიგიური დოქტრინები აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; კულტურათა დიალოგი შორეულ აღმოსავლეთში და შორეული აღმოსავლეთის ისტორია 21-ე საუკუნეში; პაპების დიპლომატია თანამედროვე და თანამედროვე ეპოქამდე; მე-19 საუკუნის დიპლომატები; ომის შემდგომი დიპლომატია: ვერსალიდან სსრკ-გერმანიის პაქტამდე და ევროპული ინტეგრაციის ისტორია: ეკონომიკური თანამშრომლობიდან პოლიტიკურ გაერთიანებამდე; პირველი მსოფლიო ომის ისტორია; ისლამი და გენდერი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში; საერთაშორისო ორგანიზაციები; დაზვერვის სამსახურების, სასულიერო და რაინდთა ორდენების იესტორია და მათი როლი მსოფლიო პოლიტიკაში; რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკა, ისტორიის დიდაქტიკა, ინგლისი მე-17 საუკუნეში, ევროპა მე-16 საუკუნეში და ა.შ.

ყველა სხვა სამაგისტრო პროგრამისგან განსხვავებით, სტუდენტს შეუძლია დამატებით აირჩიოს რეკომენდებული არჩევითი საგნები სხვა სამაგისტრო პროგრამებიდან 10 ECTS კრედიტის ფარგლებში: აღმოსავლური ეთიკური თეორიები (სამაგისტრო პროგრამა "ფილოსოფია"), არაბული პრესის ენა და პოლიტიკური ტექსტები (სამაგისტრო პროგრამა "არაბისტიკა"), ბიზნეს-არაბული (სამაგისტრო პროგრამა "არაბისტიკა"), ნავთობი, წყალი და პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში (სამაგისტრო პროგრამა "არაბისტიკა"), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა: 1918-1921 წლებში (სამაგისტრო პროგრამა „საქართველოს ისტორია“), საქართველო და დასავლეთი (სამაგისტრო პროგრამა „საქართველოს ისტორია“) და სხვ.

აღწერა და ანალიზი - სადოქტორო პროგრამა ისტორიაში

ისტორიის სადოქტორო პროგრამას აქვს ბევრი სასწავლო მოდული (არა მხოლოდ თეორიასა და მეთოდებზე, არამედ შინაარსზეც). დოქტორანტურის სწავლის შედეგები მიიღწევა არა მხოლოდ სადოქტორო დისერტაციით, არამედ თავად მოდულების სწავლის ინდივიდუალური შედეგებითაც. მიუხედავად იმისა, რომ სწავლების გამოცდილება დოქტორანტურის არსებითი ელემენტია, ის არ წარმოადგენს ამ სასწავლო კურსის სავალდებულო ელემენტს. სწავლის შედეგების მიღწევას ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ ყველა სტუდენტს აქვს გამოქვეყნების ვალდებულება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები თანდართული სილაბუსებით; სწავლის შედეგების რუკა; დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების ინტერვიუები; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; დაწესებულების ვებგვერდი; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: ექსპერტთა ჯგუფი მოუწოდებს დეპარტამენტს განიხილოს პროგრამის აქ წარმოდგენილი შეფასება და ასეთივე წარმატებით განაგრძოს მუშაობა. ასევე რეკომენდებულია სხვადასხვა პროგრამების განხილვა და განახლება იმ მიზნით, რომ პროგრამები მუდმივად აქტუალური იყოს; ასევე გააფაროვოს კურიკულუმები

საქართველოსათვის მნიშვნელოვანი სფეროების დამატებით და ასევე, სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით.

სასურველია, რომ ისტორიისა და არქეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსებში ლექტორის მიერ შექმნილ რიდერებსა და სახელმძღვანელოებში მითითებული იყოს კურსის დასახელება და შედგენის წელი.

ექსპერტთა ჯგუფის რჩევას, რომ დეპარტამენტმა განიხილოს მაგისტრანტების მიერ საბაკალავრო პროგრამებიდან არჩევითი საგნების აღების შესაძლებლობა, ბაკალავრიატის სტუდენტებისგან განსხვავებული შეფასებით (მათი სწავლების დონის ასახვის მიზნით).

ქართულ ენაზე ონლაინ რიდერი შეიძლება იყოს წინ გადადგმული ნაბიჯი ქართულ ენაზე განახლებული ბიბლიოგრაფიის ნაკლებობის დასაძლევად.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები:

რჩევები:

1. სასურველია სასწავლო კურსების ძირითადი ნაწილის სილაბუსებში დაკონკრეტდეს ახალი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები;
2. ქართულენოვანი სახელმძღვანელოების არარსებობის შემთხვევაში, მისაღებია ელექტრონული რიდერის შექმნა;

პროგრამა 2 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)

რჩევები: სასურველია, სილაბუსში (მაგალითად, „ანტიკურ“ არქეოლოგიაში (კლასიკური და ელინისტური ეპოქა, კავკასიის არქეოლოგია) ლექტორის მიერ შემოთავაზებული საკითხავი მასალა ჩამოყალიბდეს ცალ-ცალკე თითოეული თემისთვის და ჰქონდეს განსაზღვრული საკითხავი მასალა, სადაც მითითებული იქნება ავტორი, სათაური და შედგენის წელი.

პროგრამა 3 (საქართველოს ისტორია, სამაგისტრო)

რჩევები:

1. სასწავლო კურსების მცირე ნაწილის სილაბუსებში უნდა დაკონკრეტდეს ახალი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები.

პროგრამა 4 (უბველესი ენები და ცივილიზაციები, სამაგისტრო)

რჩევები:

1. სასურველია, რომ ამ სილაბუსებში დაკონკრეტდეს ახალი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები.
2. სასურველია, სილაბუსში (მაგალითად, არქეოლოგიასა და საზოგადოებაში, აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისა და ლევანტის არქეოლოგია, დიდი მესოპოტამიის არქეოლოგია) ლექტორის მიერ შემოთავაზებული საკითხავი მასალა (რიდერი) ცალკე იყოს ჩამოყალიბებული თითოეული თემისთვის და ჰქონდეს მითითებული საკითხავი მასალა ავტორის ვინაობით, სათაურით და შედგენის წლით.

პროგრამა 5 (შუა საუკუნეების ისტორია, სამაგისტრო)

რჩევები:

1. სასწავლო კურსების მცირე ნაწილის სილაბუსებში უნდა დაკონკრეტდეს ახალი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები.
2. ვინაიდან სამაგისტრო პროგრამა მოიცავს საგანმანათლებლო კურსებს ანტიკური ცივილიზაციის შესასწავლად, სასურველია აქ წარმოდგენილი იყოს ანტიკური არქეოლოგიაც.

პროგრამა 6 (ახალი და უახლესი ისტორია, სამაგისტრო)

რჩევები:

1. სასწავლო კურსების მცირე ნაწილის სილაბუსებში უნდა დაკონკრეტდეს ახალი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები.

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 3 (საქართველოს ისტორია, სამაგისტრო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (უძველესი ენები და ცივილიზაციები, სამაგისტრო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (შუა საუკუნეების ისტორია, სამაგისტრო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ახალი და უახლესი ისტორია, სამაგისტრო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (არქეოლოგია, სამაგისტრო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (ისტორია, სადოქტორო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობა ია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა ია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა ია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (საქართველოს ისტორია, სამაგისტრო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (უძველესი ენები და ცივილიზაციები, სამაგისტრო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (შუა საუკუნეების ისტორია, სამაგისტრო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ახალი და უახლესი ისტორია, სამაგისტრო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 7 (არქეოლოგია, სამაგისტრო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (ისტორია, სადოქტორო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლა-სწავლების მეთოდები და სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს სასწავლო სფეროს სპეციფიკას, დონის მოთხოვნებს, სტუდენტის საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უმაღლეს სასწავლებელს აქვს შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომ პროგრამებში მიღების წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თსუ-ს კლასტერში რვა პროგრამაა დაჯგუფებული. მათ შორისაა ორი საბაკალავრო პროგრამა ისტორიასა და არქეოლოგიაში; ხუთი სამაგისტრო პროგრამა - უძველესი ენები და ცივილიზაციები; შუა საუკუნეების ისტორია; ახალი და უახლესი ისტორია; და არქეოლოგია და ერთი სადოქტორო პროგრამა ისტორიაში. პროგრამებს ბევრი საერთო აქვთ. ყველა შედეგა ურთიერთდაკავშირებული სასწავლო გეგმებისგან: საქართველოს ისტორია და არქეოლოგია; შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ისტორია; ახლო აღმოსავლეთი, უძველესი ცივილიზაციები და უძველესი და კლასიკური ენები. კლასტერებად ეს დაჯგუფება ინოვაციურია თსუ-სთვის, რადგან ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ურთიერთდაკავშირებული საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები შედგენილია და ჯგუფურად არის წარმოდგენილი. იგი შექმნილია იმისთვის, რომ წახალისოს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები მონაწილეობა მიიღონ ინტერდისციპლინურ კლასტერულ ინიციატივაში და დაეხმარონ მათ ერთმანეთთან და ფაკულტეტთან კავშირების დამყარებაში.

სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს აქვს მიღების მკაფიო წინაპირობები. ხუთი სამაგისტრო პროგრამა (საქართველოს ისტორია, უძველესი ენები და ცივილიზაციები, შუა საუკუნეების ისტორია, ახალი და უახლესი ისტორია და არქეოლოგია) საჭიროებს ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს, საერთო სამაგისტრო გამოცდაზე გამსვლელ ქულას, მისაღები გამოცდაზე გამსვლელ ქულას შესაბამის სპეციალობაში, ხოლო B1 დონეს უცხო ენაში (ინგლისური/გერმანული/ფრანგული). უცხო ენის მოთხოვნა დასტურდება ან სერტიფიკატით ან უნივერსიტეტში მისაღები გამოცდით. სტუდენტს შეუძლია სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე გააუმჯობესოს ენის ცოდნა B2 დონეზე. ისტორიის სადოქტორო პროგრამა მოითხოვს მაგისტრის ხარისხს ან მის ეკვივალენტს ისეთ სფეროებში, როგორცაა ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები, სოციალური კვლევები და ჟურნალისტიკა; ერთ-ერთი უცხო ენის

(ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ცოდნა B2 დონეზე; პროგრამის ხელმძღვანელისა და დოქტორანტურის სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის სარეკომენდაციო წერილს და გასაუბრებას სპეციალობაში. პროგრამაზე უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვა ასევე შეიძლება რეგულირდებოდეს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონმდებლობით.

ამ კრიტერიუმების მიხედვით, პროგრამებზე დაშვების პროცესი აშკარა და გამჭვირვალე ჩანს. ადგილზე ვიზიტის დროს სტუდენტებთან შეხვედრების დროს არანაირი პრობლემა ან პრეტენზია არ გამოჩენილა. სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან გასაუბრებამ არ გამოავლინა რაიმე გადახრები ან პრობლემები მიღებასთან დაკავშირებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ისტორია, საბაკალავრო პროგრამა)

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის მისაღები მოთხოვნები გაწერილია პროგრამის აღწერაში, რომელიც ხელმისაწვდომია ონლაინ და შეესაბამება ზემოთ აღწერილ წესებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (არქეოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)

იგივე მოთხოვნები ვრცელდება არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის პოტენციურ სტუდენტებზე. აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა გასაუბრებისას დაადასტურა, რომ მიღების პროცესი შეესაბამება საქართველოს საგანმანათლებლო კანონებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (საქართველოს ისტორია, სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამა მოითხოვს კანდიდატებს ჰქონდეს ბაკალავრის ან ეკვივალენტური აკადემიური ხარისხი ნებისმიერ სფეროში. ზეპირ გამოცდას ატარებს უნივერსიტეტის საგამოცდო კომისია. საგამოცდო კომისია ამოწმებს სტუდენტის ცოდნას დარგში და ინგლისური ენის ცოდნას (B2).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (უმველესი ენები და ცივილიზაციები, სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამა მოითხოვს კანდიდატებს ჰქონდეს ბაკალავრის ან ეკვივალენტური აკადემიური ხარისხი ნებისმიერ სფეროში. ზეპირ გამოცდას ატარებს უნივერსიტეტის საგამოცდო კომისია. საგამოცდო კომისია ამოწმებს სტუდენტის ცოდნას დარგში და ინგლისური ენის ცოდნას (B2).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (შუა საუკუნეების ისტორია, სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამა მოითხოვს კანდიდატებს ჰქონდეს ბაკალავრის ან ეკვივალენტური აკადემიური ხარისხი ნებისმიერ სფეროში. ზეპირ გამოცდას ატარებს უნივერსიტეტის საგამოცდო კომისია. საგამოცდო კომისია ამოწმებს სტუდენტის ცოდნას დარგში და ინგლისური ენის ცოდნას (B2).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (ახალი და უახლესი ისტორია, სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამა მოითხოვს კანდიდატებს ჰქონდეს ბაკალავრის ან ეკვივალენტური აკადემიური ხარისხი ნებისმიერ სფეროში. ზეპირ გამოცდას ატარებს უნივერსიტეტის საგამოცდო კომისია. საგამოცდო კომისია ამოწმებს სტუდენტის ცოდნას დარგში და ინგლისური ენის ცოდნას (B2).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 (არქეოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)

გარდა ზემოთ აღნიშნული მოთხოვნებისა, სტუდენტის ბაკალავრის (ან სხვა მაგისტრატურის) ხარისხი უნდა იყოს ჰუმანიტარული ან შესაბამისი სოციალური მეცნიერებების ან მათი ქვედარგების სფეროებში, ან, თუ სხვა სფეროში, სტუდენტს შეიძლება ჰქონდეს დამატებითი მაინორ პროგრამა არქეოლოგიაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8 (ისტორია, სადოქტორო პროგრამა)

სადოქტორო პროგრამის შიდა მარეგულირებელი ჩარჩო მოითხოვს პოტენციური სტუდენტები ფლობდნენ მაგისტრის ან ეკვივალენტურ აკადემიურ ხარისხს შესაბამის სფეროში და ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ საბუთს. კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი კვლევის წინადადება და მოიძიონ ხელმძღვანელი ფაკულტეტის წევრებს შორის ზეპირ გამოცდამდე. მხოლოდ ამის შემდეგ ჩაუტარდებათ ზეპირი გამოცდა მიმღები კომიტეტის წევრების წინაშე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების დოკუმენტი ნათლად აღწერს დაშვების წინაპირობებს და პროცედურებს, თუმცა ეროვნულ გამოცდაზე საკონკურსო ქულის დადგენა (ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის) გამოსადეგი იქნებოდა.
- თვითშეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- აკადემიური პერსონალი/ადმინისტრატორები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 5 (შუა საუკუნეების ისტორია, სამაგისტრო).

რჩევები:

იმის გამო, რომ პროგრამა სტუდენტებისგან მოელის, რომ თარგმნონ ბერძნული და ლათინური ტექსტები იმ პერიოდიდან, პროგრამამ უნდა გააფართოვოს მისაღები მოთხოვნები უცხო ენის მიმართულებით, კერძოდ, მოიცვას ბერძნული და ლათინური ენები.

პროგრამა 7 (სამაგისტრო პროგრამა არქეოლოგიაში, დონე VII)

რჩევები:

თვითშეფასების ანგარიშში არ იყო წარმოდგენილი იმის სამართლიანი ახსნა და განმარტება, თუ რატომ არის პროგრამაზე მიღება შეზღუდული ჰუმანიტარული ან სოციალურ მეცნიერებათა ხარისხის მქონე სტუდენტებით. არქეოლოგია მეტად ინტერდისციპლინური გახდა. ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, როგორცაა მტერის ანალიზი (ბოტანიკა); მასალების ქიმიური ანალიზები (ქიმია და გეოლოგია); კარტოგრაფია (გეოგრაფია) და GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) მიანიშნებს იმაზე, რომ მეცნიერებათა სტუდენტები უნდა განიხილებოდნენ პროგრამაზე მისაღებად.

ყველა პროგრამა

რჩევები:

ბაკალავრიატის შემდგომ საფეხურებზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაზე მისაღები მოთხოვნები საჯაროდ ხელმისაწვდომი იყოს, ინფორმაცია წარმოდგენილი იყოს ყველა შესაბამის ონლაინ ფორმატში. განსაკუთრებით სადოქტორო პროგრამისთვის, დეპარტამენტმა უნდა გამოიჩინოს ძალისხმევა ამ პროცესის ინტერნაციონალიზაციისა და ღიაობისთვის, რომ მიიღოს სტუდენტები სხვადასხვა ადგილებიდან.

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (საქართველოს ისტორია, სამაგისტრო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (უძველესი ენები და ცივილიზაციები, სამაგისტრო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (შუა საუკუნეების ისტორია, სამაგისტრო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ახალი და უახლესი ისტორია, სამაგისტრო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (არქეოლოგია, სამაგისტრო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (ისტორია, სადოქტორო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შესაბამისად სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ ჩართვას კვლევით პროექტებში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამები ისტორიასა და არქეოლოგიაში, ცდილობენ უზრუნველყონ საბაზისო ცოდნის მიწოდება თავიანთ სფეროებში. პროგრამები ოთხწლიანია. საბაკალავრო პროგრამა ისტორიაში მოიცავს საქართველოს ისტორიას და მსოფლიო ისტორიას უძველესი დროიდან დღემდე. სტუდენტები შეისწავლიან, როგორ ისწავლონ ისტორია, როგორ მოახდინონ ისტორიული მოვლენების ინტერპრეტაცია, ისტორიული პროცესების აღწერა და მეთოდოლოგიის შემუშავება. არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა თეორიულ სწავლებას ამატებს პრაქტიკული უნარების კომპონენტს. სტუდენტის მოსალოდნელი კომპეტენციების აღწერა საკმარისად სპეციფიკურია. საბაკალავრო პროგრამა აძლევს ნათელ ანალიტიკურ უნარებს ყველა სტუდენტს, კარგი არგუმენტაციის, წერის უნარებსა და ენობრივ უნარებთან ერთად.

საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა დაკავშირებულია საქართველოს ისტორიის ინსტიტუტთან, რომელიც მდებარეობს თსუ-ში. სტუდენტებს მოეთხოვებათ საქართველოს შესახებ ქართული და უცხოური ლიტერატურული წყაროების ანალიზი. სტუდენტების მოლოდინები ჩამოყალიბებულია ნათლად და გონივრული სპეციფიკით, მაგალითად, მათ უნდა შეადარონ და დააპირისპირონ საქართველოში მომხდარი ევოლუციური პროცესები კლასიკური და შუა საუკუნეების სამყაროს სხვა ნაწილებში არსებულ სინქრონულ პროცესებთან. ეს მნიშვნელოვანი პრაქტიკაა, რადგან საქართველოს ისტორიის დიდი ნაწილი ეროვნულ დონეზე დაიწერა და სტუდენტებს მიეცემათ საშუალება გადახედონ მას და განავითარონ კრიტიკული აზროვნების უნარი.

სამაგისტრო პროგრამა უძველეს ენებსა და ცივილიზაციებში შექმნილია ეგრეთ წოდებული "მკვდარი" ენების შესწავლაზე. თუმცა პროგრამა არ არის მარტო ფილოლოგიური, არამედ ინტეგრირებულია ამ ენებთან დაკავშირებული კულტურების შესწავლასთან.

სამაგისტრო პროგრამა შუა საუკუნეების ისტორიაში, როგორც ჩანს, უფრო ვიწროა, ვიდრე სათაური გვთავაზობს. პირველ რიგში, თვითშეფასების დოკუმენტით გამოჩნდა, რომ კვლევა შემოიფარგლება დასავლეთ ევროპით. მეორე, თვითშეფასების დოკუმენტი აღწერს პროგრამას, როგორც „შუა საუკუნეების განვითარების პროცესები“ და „რეგიონული განვითარების თავისებურებები“. პროგრამა მოუწოდებს სტუდენტებს თარგმნონ და გააანალიზონ ბერძნული და ლათინური ტექსტები იმ პერიოდიდან.

სამაგისტრო პროგრამა თანამედროვე ისტორიაში აკმაყოფილებს სტანდარტებს. იგი მოიცავს არა მხოლოდ ისტორიის თანამედროვე პერიოდს, არამედ საერთაშორისო ურთიერთობებსაც. წარმოდგენილი ყველა სამაგისტრო პროგრამა აძლევს სტუდენტებს კარგ კვლევით უნარებს, რაც საშუალებას მისცემს მათ გამოიყენონ ეს უნარები მათთვის სასურველ ნებისმიერ სფეროში.

ისტორიის სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტის განვითარებისათვის ხელშეწყობას და ხაზს უსვამს სტუდენტის შემოქმედებით უნარებს კვლევაში, წერასა და სწავლებაში, ისევე როგორც ხაზს უსვამს დამოუკიდებლად მუშაობის აუცილებლობას. სადოქტორო პროგრამა სტუდენტს აძლევს კვლევით უნარებს, მაგრამ ასევე აძლევს სწავლების უნარებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (არქეოლოგია; საბაკალავრო პროგრამა)

თსუ-ს აქვს ძალიან კარგად ორგანიზებული მუზეუმები. ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ სტუდენტები ჩართულნი არიან სამუზეუმო საქმიანობაში. მიუხედავად იმისა, რომ უმეტესობა არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები ვერ პოულობენ დასაქმებას ამ სფეროში ან უბრალოდ აგრძელებენ სხვა საქმეს, ისინი აცხადებენ პროგრამით კმაყოფილების მაღალ ხარისხს და გრძნობენ, რომ პროგრამამ მათ გადასცა ტრანსფერული უნარები, რომლებიც სასარგებლოა არქეოლოგიის სფეროს მიღმა.

პროგრამა 4 (უძველესი ენები და ცივილიზაციები, სამაგისტრო პროგრამა)

ლიტერატურის განახლება სამაგისტრო კურსებისთვის გათვალისწინებულ სილაბუსებში – ელინიზმი, რომი და აღმოსავლეთი, კლასიკური ისტორიოგრაფია და კლასიკური სამყარო ეპოქის მიჯნაზე – გააუმჯობესებს პროგრამის ხარისხს.

პროგრამა 5 (შუა საუკუნეების ისტორია; დონე VII)

თვითშეფასების დოკუმენტი აღწერს პროგრამას, როგორც დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიაზე ორიენტირებულს. ალბათ, მომგებიანი იქნებოდა ამის გარკვევით დაფიქსირება პროგრამის სათაურში („დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორია“).

პროგრამა 7 (არქეოლოგია; სამაგისტრო პროგრამა, დონე VII)

ექსპერტთა ჯგუფი ვარაუდობს, რომ პროგრამამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იმ მნიშვნელოვანი კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების აღწერის გაუმჯობესებას, რომლებსაც

სტუდენტები პროგრამით იძენენ. ეს დაეხმარება პროგრამას თავისი მნიშვნელობის შესახებ უკეთეს კომუნიკაციასა და რეკრუტირებაში.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: თსუ და მისი ისტორიისა და არქეოლოგიის ფაკულტეტებისთვის ძალიან სასარგებლო იქნებოდა კურსდამთავრებულთა აქტიური ქსელით კურსდამთავრებულებისთვის ინფორმაციის მიწოდება რეგულარული საინფორმაციო ბიულეტენებისა და შეტყობინებების მეშვეობით, ისევე როგორც მინიმუმ ერთი ყოველწლიური სოციალური ღონისძიების მოწყობა კურსდამთავრებულებისათვის. ეს პოტენციურად გაზრდის პროგრამებს და ასევე უზრუნველყოფს სტუდენტების დასაქმების ქსელებს პროგრამის დასრულების შემდეგ.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით

რჩევები:

პროგრამა 2 არქეოლოგია (ბაკალავრიატი)

შესაძლებელი იყო თვითშეფასების დოკუმენტში პროგრამის აღწერა ყოფილიყო უფრო ნათელი და ჰქონოდა შეფასებადი კრიტერიუმები. მაგალითად, უნდა განისაზღვროს, თუ როგორ ასწავლის პროგრამა „არქეოლოგიის დარგის არსს“. ანალოგიურად, „მუზეუმის საქმიანობა“ ძალიან ზოგადია ანგარიშში. იგი განსაზღვრული უნდა იყოს უფრო კონკრეტულად.

პროგრამა 4 უძველესი ენები და ცივილიზაციები - (მაგისტრატურა)

სილაბუსებში ლიტერატურის განახლება სამაგისტრო კურსებისთვის - ელინიზმი, რომი და აღმოსავლეთი, კლასიკური ისტორიოგრაფია და კლასიკური სამყარო ეპოქის მიჯნაზე, გააუმჯობესებს პროგრამის ხარისხს.

პროგრამა 5 შუა საუკუნეების ისტორია (მაგისტრატურა)

აღბათ უმჯობესი იქნება ამის მკაფიოდ დაფიქსირება პროგრამის სათაურში („დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორია“).

პროგრამა 7 არქეოლოგია (მაგისტრატურა)

ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ პროგრამამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს იმის აღწერას, თუ რა მნიშვნელოვან კომპეტენციებსა და ტრანსფერულ უნარებს იძენენ სტუდენტები ამ პროგრამით. ეს დაეხმარება პროგრამას თავისი მნიშვნელობის შესახებ უკეთეს კომუნიკაციასა და რეკრუტირებაში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (საქართველოს ისტორია, სამაგისტრო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (უძველესი ენები და ცივილიზაციები, სამაგისტრო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (შუა საუკუნეების ისტორია, სამაგისტრო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ახალი და უახლესი ისტორია, სამაგისტრო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (არქეოლოგია, სამაგისტრო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (ისტორია, სადოქტორო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სწავლების მეთოდოლოგია მთელს კლასტერში შეესაბამება ყველა მოთხოვნებს. გარდა ამისა, ჩვენ შევიტყვეთ, რომ პროგრამამ ხელი შეუწყო სტუდენტთა მონაწილეობას აკადემიურ კონფერენციებსა და შეხვედრებში. ეს გაკეთდა როგორც პროგრამის ხელმძღვანელის, ისე ფაკულტეტის მიერ. ყველა პროგრამა აცხადებს, რომ იყენებს შემდეგ სწავლისა და სწავლების მეთოდებს: ზეპირი, პრაქტიკული, კითხვის დავალებები, წერეთი დავალებები, ციფრული

სწავლება, დემონსტრირება, ევრისტიკა, დისკუსია/დებატები, ინდუქციური და დედუქციური დასაბუთება, ანალიზი და სინთეზი, გუნდური მუშაობა, დამოუკიდებელი მუშაობა და ა.შ.

თუმცა, საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა ხაზს უსვამს კვლევის მეთოდოლოგიებს. უძველესი ენებისა და ცივილიზაციების სამაგისტრო პროგრამა მოიცავს მთარგმნელობით სავარჯიშოებს.

ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამა ასევე გვაწვდის წინა აზრებში ჩამოთვლილ სწავლების სტანდარტულ მეთოდებს. პროგრამის შედეგად მოსალოდნელია, რომ კურსდამთავრებული „სიღრმისეულად და სისტემურად კამათობს ისტორიულ ფაქტებსა თუ მოვლენებზე“, „სიღრმისეულად განიხილავს ისტორიულ მეთოდებს და ხაზს უსვამს მათ მნიშვნელობას ისტორიის შესწავლაში“, „ანალიზებს გლობალიზაციას როგორც ისტორიულ მოვლენას“ და „ისტორიულ კონტექსტში განიხილავს და აანალიზებს ურთიერთობებს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“.

არქეოლოგიის პროგრამები სტუდენტებს სტაჟირებად ათავსებს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. ეს კარგი პრაქტიკაა და მას ხშირად მოსდევს დასაქმების შეთავაზებები.

სტუდენტებმა განაცხადეს, რომ მათ მოუწოდეს მონაწილეობა მიეღოთ სხვადასხვა პროგრამის ფოკუს ჯგუფებში. ფოკუს ჯგუფები მოეწყო ახალი სასწავლო კურსების შემუშავებისა და არსებული კურსების გასაუმჯობესებლად ან შესაცვლელად.

კლასტერს სარგებელს მოუტანს სტაჟირების გარკვეული სტანდარტები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სწავლის მკაფიო შედეგები. თითოეულ პროგრამაში, რომელიც სთავაზობს სტაჟირებას, ფაკულტეტის წევრმა უნდა განახორციელოს პერიოდული ვიზიტები, რათა უზრუნველყოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მიზნების დაკმაყოფილება.

იმის გამო, რომ ქართველ სტუდენტებს სახსრების ნაკლებობა აქვთ და რადგანაც კლასტერის მასალების დიდი ნაწილი განთავსებულია ბიბლიოთეკებში, მუზეუმში ან სხვა ორგანიზაციების არქივებში, უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს რაიმე პროგრამა, რომელიც აუნაზღაურებს სტუდენტებს ხარჯებს ან უზრუნველყოფს იმას, რომ მათ არ გადაიხადონ ფოტოკოპირების ან ციფრული ასლის გადაღების საფასური.

პროგრამა 7 (არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა, საფეხური VII).

არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სწავლებისა და სწავლის მეთოდებითვის უკეთესი იქნება თუ უფრო სპეციფიკური გახდება. მაგალითად: „ვერბალური მეთოდი“ ზოგადია და შეიძლება გულისხმობდეს რამდენიმე მეთოდს. მეორე მხრივ, მიღებული მეთოდოლოგიების გრძელი სია ისევ ძალიან ზოგადია და არ აწვდის სტუდენტს ინფორმაციას. უფრო მეტიც, ჩვენ დავინახეთ, რომ პროგრამა აგზავნის სტუდენტებს სტაჟირებაზე, თუმცა ეს პრაქტიკული მეთოდი არ არის მოხსენიებული, როგორც სწავლების ერთ-ერთი მეთოდი. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ პროგრამა ავითარებს კანდიდატების წერის უნარს, მაგრამ ეს, როგორც ჩანს, გამოტოვებულია პროგრამის აღწერაში.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერს სარგებელს მოუტანს სტაჟირების გარკვეული სტანდარტები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სწავლის მკაფიო შედეგები. ფაკულტეტის წარმომადგენელი თითოეულ პროგრამაზე, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს სტაჟირებას, პერიოდულად უნდა ახორციელებდეს ადგილზე ვიზიტს, რათა დარწმუნდეს რომ უნივერსიტეტის სასწავლო მიზნები სრულდება.

რამდენადაც ქართველ სტუდენტებს ხშირად აქვთ ფინანსური სახსრების ნაკლებობა და რამდენადაც კლასტერისთვის საჭირო მასალები განთავსებულია ბიბლიოთეკებში, მუზეუმებსა და სხვა ორგანიზაციების არქივებში, უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს გარკვეული პროგრამა, რათა აუნაზღაუროს სტუდენტებს თანხები ან უზრუნველყოს რომ სტუდენტებს არ უწევდეთ ასლების გადაღებისა თუ ციფრული ასლების გადაღების ხარჯების გადახდა.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ისტორია, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (არქეოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (საქართველოს ისტორია, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (უმველესი ენები და ცივილიზაციები, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 5 (შუა საუკუნეების ისტორია, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ახალი და უახლესი ისტორია, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (არქეოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (ისტორია, სადოქტორო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი
პროგრამა

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშის, შესაბამისი თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის შედეგად შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და თსუ ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრული შინაგანაწესების შესაბამისად (თსუ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი). სტუდენტების სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის # 3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის მიხედვით, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გამოთვლის წესის დამტკიცების შესახებ“. სტუდენტების შეფასების სისტემა გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე შემფასებლებისთვის. კლასტერის პროგრამებსა და სილაბუსებში ნათლად არის გაწერილი სტუდენტების შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც ეცნობება სტუდენტებს სემესტრის დასაწყისში.

თითოეულ კურსში შეფასება მორგებულია კურსის შინაარსზე და ითვალისწინებს მოცემული კურსის სპეციფიკას. პროგრამის სილაბუსში აღწერილი ფორმები და შეფასების მეთოდები სასწავლო მეთოდებთან ერთად იძლევა კურსის სწავლის შედეგების მიღწევის საფუძველს. სტუდენტებს სწავლის დაწყებისას ეძლევათ კურსის სილაბუსი, ამიტომ ისინი კარგად იცნობენ თითოეულ კურსში გამოყენებულ შეფასების მეთოდებს. ელექტრონული სწავლების პლატფორმები LMS.tsu.ge და e-learning.tsu.ge ასევე საშუალებას აძლევს სტუდენტებს მიიღონ უკუკავშირი სწავლის შედეგებზე და ინდივიდუალურად ნახონ შეფასების შედეგები. აღნიშნული ელექტრონული პლატფორმა უზრუნველყოფს მიღწეული შედეგების მაქსიმალურ ინფორმირებულობას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული სასწავლო პროგრამების სილაბუსებში წარმოდგენილია სტუდენტების შეფასების სხვადასხვა მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების

ეფექტურ მიღწევას. კერძოდ, სასწავლო კურსის მეთოდები მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: მონაწილეობა დისკუსიებში, სემინარის წერითი სამუშაოები, საშინაო (პრაქტიკული) დავალებები, ზეპირი პრეზენტაციები, ასევე ზეპირი ან/და წერილობითი გამოცდები. სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება როგორც შუალედური, ისე საბოლოო შეფასების გზით. შეფასების თითოეული ფორმისთვის დადგენილია კომპეტენციის მინიმალური დონე. გამოყენებული შეფასების სისტემა მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც მიმართულია სწავლის შედეგების მისაღწევად. გარდა ამისა, პროგრამის გასაუმჯობესებლად პროგრამის სამეცნიერო პერსონალი ყოველწლიურად, რეგულარულად აანალიზებს შეფასების შედეგებს.

ვიზიტის დროს, სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ისინი რეგულარულად ეცნობიან შეფასებასთან დაკავშირებულ მოქმედ და ახალ რეგულაციებს. გარდა ამისა, სტუდენტები რეგულარულად იღებენ უკუკავშირს ლექტორებისგან სწავლის შედეგებთან და შეფასებებთან დაკავშირებით, რაც მათ საშუალებას აძლევს გააუმჯობესონ სწავლის შედეგები. როგორც პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, სტუდენტები ასევე კარგად იცნობენ აპელაციის არსებულ სისტემას. ეს საშუალებას აძლევს სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში, გაასაჩივრონ შეფასების შედეგები. აპელაციის შემთხვევაში, თსუ სტუდენტის კონკრეტულ დავალებას ხელახლა შეაფასებს ჯერ მოცემული საგნის ლექტორთან, ხოლო შემდგომი გასაჩივრების შემთხვევაში - სააპელაციო კომისიასთან.

ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად ასევე გამოიკვეთა პროგრამის კვლევის კომპონენტის შეფასების მექანიზმების შესაბამისობა არსებულ საკანონმდებლო რეგულაციებთან. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები კვლევითი უნარების განვითარების მიზნით შეიცავს საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას. საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს ისტორიასა და არქეოლოგიაში საბაკალავრო პროგრამების სავალდებულო სასწავლო კომპონენტს. საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცედურები რეგულირდება დოკუმენტით „საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის შესახებ“, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებგვერდზე. საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება მოიცავს რეცენზენტის მიერ დაწერილ შეფასებას 60 ქულის ფარგლებში (31 ქულა ითვლება დადებით შეფასებად) და ნაშრომის პრეზენტაციის შეფასებას 40 ქულის ფარგლებში (20 ქულა ითვლება დადებით შეფასებად). საბაკალავრო ნაშრომის დაცვა საჯაროა, და ხდება დეკანის ბრძანებით დამტკიცებული კომისიის წინაშე, რომელიც შედგება არანაკლებ 5 წევრისაგან. საბოლოო შეფასება განისაზღვრება რეცენზენტის ქულებისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამით. საბაკალავრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და სტუდენტს მიენიჭება შესაბამისი კრედიტი, თუ საბოლოო შეფასება უდრის ან აღემატება 51 ქულას. ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ სტუდენტის საბოლოო შეფასება აისახება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.

სამაგისტრო პროგრამების სტუდენტები ასევე ვალდებული არიან სწავლის მე-4 სემესტრის ბოლოს წარმოადგინონ სამაგისტრო ნაშრომი. დოკუმენტი „სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის შესახებ“ (რომელიც გამოქვეყნებულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებგვერდზე) არეგულირებს ნაშრომის მომზადებისა და დაცვის შეფასების პროცედურებს. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება მოიცავს რეცენზენტის მიერ დაწერილ შეფასებას 60 ქულის ფარგლებში (31 ქულა ითვლება დადებით შეფასებად) და დაცვის კომისიის მიერ წარმოდგენილი ნაშრომის შეფასებას 40 ქულის ფარგლებში (20 ქულა ითვლება დადებით შეფასებად). სამაგისტრო ნაშრომის დაცვისას

მაგისტრი აკეთებს კვლევის შედეგების ზეპირ პრეზენტაციას, რომელსაც აფასებს კომისიის თითოეული წევრი (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში მაგისტრანტის საბოლოო შეფასება გამოითვლება კომისიის ყველა წევრის ქულების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სამაგისტრო ნაშრომს 20 და მეტი ქულით შეაფასებს. სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება წარმოადგენს რეცენზენტის ქულებისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამს. სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს მიენიჭება შესაბამისი კრედიტი, თუ მისი საბოლოო შეფასება უდრის ან აღემატება 51 ქულას.

